




მედიკომპანია
გაერო

სტრატეგია გაერო

2024



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს მიკრობანკი ემზისის აქციონერებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით არამოდიფიცირებული მოსაზრება **სს მიკრობანკი ემზისის** (შემდგომში - მიკრობანკი) 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 29 მაისს. სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მივიღეთ ფინანსური ანგარიშგებაზე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ და მასზე პასუხისმგებელია მიკრობანკის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მიკრობანკის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მიკრობანკის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება მიკრობანკის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.



დავით დარსაველიძე (რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 მაისი 2025



30/05/2025

სს მიკრობანკი ემბისის პასუხისმგებელი პირების განცხადება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება და ამავე წლის მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია სს მიკრობანკი ემბისის მიერ “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” საქართველოს კანონის და საქართველოს ეროვნული ბანკის #181/04 ბრძანების მოთხოვნების საფუძველზე.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება სრულად, სწორად და სამართლიანად ასახავს მიკრობანკის აქტივებს, ვალდებულებებს, შემოსავალსა და ხარჯებს, ფინანსურ მდგომარეობას, მოგებასა და ზარალს და ფულად ნაკადებს.
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს მიკრობანკის განვითარების, საქმიანობის შედეგებისა და პირობების სამართლიან მიმოხილვას, ძირითადი რისკებისა და განუსაზღვრელობების აღწერას.

პასუხისმგებელი პირების განცხადება დამტკიცებულია მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

მურმან ამბროლაძე

გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილი

სარჩევი

01 • სტრატეგიული ენგარიში

1. ჩვენ შესახებ	5
2. ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები	7
3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა	9
4. გენერალური დირექტორის მიმართვა	12
5. მაკროეკონომიკის მიმოხილვა	15
6. მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა	22
7. ბიზნეს მოდელი და სტრატეგია	27
8. ძირითადი შედეგების მიმოხილვა	31
9. ინვესტირებთან ურთიერთობა და დაფინანსება	34
10. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	37
11. კორპორაციული მდგრადობა	42
12. ჩვენი გუნდი	49
13. ჩვენი მომხმარებლები	57
14. ინფორმაციული ტექნოლოგიები	61

02 • მართვა


15. კორპორაციული მართვა	64
16. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	68
17. დირექტორთა საბჭოს წევრები	71
18. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერთა კრების საკითხები	74
19. აუდიტის კომიტეტი	77
20. რისკების კომიტეტი	80

03 • ფინანსური ენგარიშობა

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	84
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	86
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება	87
4. ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	88
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება	89
6. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	90

R3J6

მკლამა



ბაზარზე 12-წლიანი წარმატებული ოპერირების შემდეგ, ემბისის საქართველოში პირველი მიკრობანკი გახდა. 2024 წლის 5 დეკემბერს კომპანიამ ეროვნული ბანკისგან მიკრობანკის ლიცენზია მიიღო და ამით სათავე დაუდო ქვეყანაში ახალი ტიპის საფინანსო ინსტიტუტების - მიკრობანკების განვითარებას.

საქართველოს მასშტაბით არსებული 17 სერვისცენტრი, 119.5 მილიონი ლარის პორტფელი, 145 მილიონი ლარის აქტივები და 184 ათასზე მეტი მომხმარებელი-აღნიშნული შედეგებით ემბისის განვითარების ახალ ეტაპზე გადადის და სულ მალე მომხმარებელს კიდევ უფრო დახვეწილ და მრავალფეროვან ფინანსურ გადაწყვეტილებებს შესთავაზებს.

მიკრობანკის სტატუსის მოპოვებასთან ერთად, ემბისის დაკრედიტების მაქსიმალური ლიმიტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 1 მილიონ ლარს მიაღწევს. კომპანიის უმთავრესი ინტერესის სფერო კი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება იქნება.

ემბისის მთავარი კონკურენტული უპირატესობა მცირე და საშუალო ბიზნესზე მორგებული შეთავაზებები და ნაკლებად ბიუროკრატიული პროცედურები იქნება, რაც აღნიშნულ სეგმენტს ფინანსურ რესურსებზე წვდომას გაუმარტივებს და საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნება.

მიკრობანკის ლიცენზიის მიღების გარდა, 2024 წელი ემბისისთვის სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი გახლდათ. კომპანიამ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 30 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები განათავსა, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ემბისის მიერ განხორციელებული მეორე ემისიაა. ასევე, 2024 წლის მიწურულს, მიუხედავად ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა, წამყვანმა ევროპულმა სარეიტინგო სააგენტო Scope Rating-მა ემბისის საკრედიტო რეიტინგი B პოზიტიურიდან B+ სტაბილურამდე (B+ Stable) გაზარდა, რაც კომპანიის სტაბილურობისა და სანდოობის კიდევ ერთი დასტურია. მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობაც - 2024 წლის ბოლოს უცხოურმა ინვესტიციებმა 47 მილიონ ლარს მიაღწია.


გასული წელი საკვანძო იყო ემბისისთვის მიკრობანკად ტრანსფორმაციის მოსამზადებელ ეტაპზე. კომპანიამ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელა IT ინფრასტრუქტურის განახლების მიმართულებით, რაც აუცილებელი წინაპირობაა მომხმარებლისთვის თანამედროვე საბანკო სერვისების შეთავაზების უზრუნველსაყოფად. 2024 წლის ბოლოს დაიწყო მომხმარებლებისთვის მიმდინარე ანგარიშების გახსნის პროცესიც, ამ ეტაპზე კი კომპანია აქტიურად მუშაობს, რათა უახლოეს მომავალში ბაზარს შესთავაზოს ანაბრები და სხვა ინოვაციური ფინანსური პროდუქტები.

2024 წელს კომპანია კვლავ აქტიურად აგრძელებდა მუშაობას კორპორაციული მდგრადობის გაძლიერების მიმართულებით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მათი ფინანსური განათლების ხელშეწყობაზე, სოციალური საწარმოების განვითარებაზე, ასევე თანამშრომელთა კორპორაციული მოხალისეობის წახალისებაზე. საბანკო ტრანსფორმაციის პროცესში დაგეგმილია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების მართვის სისტემის დანერგვა და მისი სრული ინტეგრირება კომპანიის რისკების მართვის საერთო ჩარჩოში.

მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესი 2025 წელსაც გაგრძელდება და არანაკლებ მნიშვნელოვანი და გამოწვევებით სავსე იქნება.



**ქონიერების
ფინანსური და
სამკვრივე
მედიკამენტები**



02. ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

მთლიანი აქტივები (+24%)

₾145 მლნ

წმინდა მოგება (+74%)

₾3.5 მლნ

ROE

15%

საფინანსო ორგანიზაციებიდან
ნასესხები სახსრები (+27%)

₾98 მლნ

ფილიალების რაოდენობა

17

მომხმარებელთა რაოდენობა

61.005

მთლიანი სესხები (+18%)

₾119.5 მლნ

მთლიანი კაპიტალი (+13%)

₾23.2 მლნ

ROA

2.4%

პარტნიორი საფინანსო
ინსტიტუტების რაოდენობა

13

თანამშრომლების რაოდენობა

255

თანამშრომლების
კაპაოფილების ინდექსი

80%


მომხმარებელთა
კაპაოფილების ინდექსი

85 %

მომხმარებელთა
ლოიალობის ინდექსი

86 %

**საქართველოს
საბჭო
თანამშრომლობის
გაერთიანება**



03. საერთაშორისო საბჭოს თავმჯდომარის პირობა



ტირას ნიჟარაძე

სამეთვალყურეო საბჭოს
თავმჯდომარე

ძვირფასო აქციონერებო, პარტნიორებო და თანამშრომლებო,

ჩემთვის დიდი პატივია, მოგმართოთ ემბისისთვის გამოირჩეულად წარმატებული წლის შემაჯამებლად - წლის, რომელმაც არა მხოლოდ ჩვენი კომპანიისთვის, არამედ მთლიანად საქართველოს საფინანსო სექტორისთვის ისტორიული მნიშვნელობა შეიძინა. სწორედ ამ წელს ემბისი პირველი ლიცენზირებული მიკრობანკი გახდა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის, თანამედროვე და მოქნილი საფინანსო ინსტიტუტების განვითარებას ქვეყანაში.

მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვება ემბისისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ცვლილება გახლდათ, რომელმაც საშუალება მოგვცა არსებითად გავაფართოოთ მომსახურების სპექტრი, მკვეთრად გავზარდოთ დაკრედიტების ლიმიტი, მომხმარებლებს შევთავაზოთ კიდევ უფრო სრულყოფილი და მათ საჭიროებებზე მორგებული ფინანსური სერვისები, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის კი გავზღუდოთ სანდო ფინანსური პარტნიორი.

გასული წელი ემბისისთვის გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი ფინანსური და საოპერაციო მიღწევებით. კომპანიამ გააუმჯობესა ფაქტობრივად ყველა ძირითადი ინდიკატორი. მნიშვნელოვანია ემბისის შედეგების გაანალიზება მიკროსაფინანსო სექტორის ზოგად ტენდენციებთან მიმართებაში. მოგვსენებათ, რომ 2024 წელს მიკროსაფინანსო ბაზრის მთლიანი პორტფელის ზრდამ 15,7% შეადგინა. ემბისის ჰქონდა სექტორის წარმომადგენლებს შორის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 18%. ამასთან, 7,8%-ით გაიზარდა ემბისის აქტიურ მსესხებელთა რიცხვი და 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით 9,300-ს გადააჭარბა. ამას გარდა, კომპანიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის მიმართულებითაც და 2024 წელს 26%-ით გაზარდა მოზიდული სახსრების მოცულობა.

აღნიშნულის პარალელურად, კომპანია ბაზართან და ბაზრის უმსხვილეს მოთამაშეებთან მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რისკების პარამეტრებით გამოირჩევა. კაპიტალზე უკუგების მაჩვენებელმა 15%-ს მიაღწია.

ემბისი 2024 წელსაც სტაბილურად ინარჩუნებს თანამშრომელთა და მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ლოიალობის მაღალ ინდექსებს, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მისასალმებელია.

მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია ის სოციალური და სტრატეგიული პასუხისმგებლობა, რომელსაც ემბისი მუდმივად ითვალისწინებს - იქნება ეს რეგიონში მყოფი მომხმარებლების ფინანსურ რესურსებზე წვდომის გაუმჯობესება, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა თუ კორპორაციული მდგრადობის გაძლიერება ESG ჩარჩოს ინტეგრირებით. აღნიშნულ საკითხებზე აქტიური ყურადღება სამეთვალყურეო საბჭოს დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილია.

როგორც საბჭოს თავმჯდომარემ, ხაზგასმით მსურს აღვნიშნო, რომ სტრატეგიული მიმართულებების წარმატებით განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კომპანიის მენეჯმენტს, პროფესიონალ

03. საპატენტურო საბჭოს თავმჯდომარის პირობა

როგორც საბჭოს თავმჯდომარემ, ხაზგასმით მსურს აღვნიშნო, რომ სტრატეგიული მიმართულებების წარმატებით განხორციელებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კომპანიის მენეჯმენტს, პროფესიონალ თანამშრომლებსა და ჩვენს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებს, რომელთა ნდობა და მხარდაჭერა ერთ-ერთი მთავარი საყრდენია.

2025 წელი არანაკლებ მნიშვნელოვანი და გამოწვევებით სავსე იქნება. საბჭო განაგრძობს კომპანიის გრძელვადიანი მიზნებისთვის თვალის მიდევნებას, ძლიერი რისკების მართვის სისტემის მხარდაჭერას და მენეჯმენტის სტრატეგიული გადაწყვეტილებების ზედამხედველობას. ჩვენი ერთობლივი ამოცანაა, რომ ემბისი ჩამოყალიბდეს მიკრობანკების სეგმენტში უალტერნატივო ლიდერად - სტაბილურ, ინოვაციურ და მომხმარებელზე ორიენტირებულ ორგანიზაციად.

ამავე დროს, მსურს გაცნობოთ, რომ მომდევნო წლიდან მე აღარ ვიქნები სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ამ მნიშვნელოვან პასუხისმგებლობას გადავაბარებ ჩემს კოლეგას, მურმან ამბროლაძეს. წარმატებებს ვუსურვებ მას საპასუხისმგებლო მისიის შესრულებაში - მჯერა, მისი ხელმძღვანელობით ემბისი ყველა მიზნის მიღწევას შეძლებს.

ვფიქრობ, ერთად ვქმნით მაგალითს იმისა, როგორ შეიძლება ფინანსურმა ინსტიტუტმა არა მხოლოდ წარმატებულად უპასუხოს ბაზრის მოთხოვნებს, არამედ წვლილი შეიტანოს ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოების მდგრად განვითარებაში.

გულწრფელად გმადლობთ ნდობისთვის.




ტარას ნიშვარაძე

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



ბუნების მეცნიერების მეცნიერება



04. ბაზრადი ფინანსური პირობები



გია პეტრიაშვილი

ემბისის გენერალური დირექტორი

ძვირფასო აქციონერებო, პარტნიორებო და თანამშრომლებო,

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ ჩვენი კომპანიის 2024 წლის ანგარიში. გასული წელი ემბისისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და გარდამტეხი აღმოჩნდა. 12-წლიანი წარმატებული ოპერირების შემდეგ, ჩვენ განვითარების ახალ, ისტორიულ ეტაპზე გადავდით - ემბისი საქართველოში პირველი მიკრობანკი გახდა.

2024 წლის 5 დეკემბერს ჩვენ საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიკრობანკის ლიცენზია მივიღეთ, რითაც სათავე დავუდეთ ქვეყანაში ახალი ტიპის საფინანსო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. ეს უდიდესი მიღწევაა მთელი ჩვენი გუნდისთვის და ამავედროულად, დიდი პასუხისმგებლობაა ჩვენი მომხმარებლებისა და ქვეყნის ეკონომიკის წინაშე.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2024 წელი ფინანსური კუთხითაც წარმატებული გახლდათ ემბისისთვის. კომპანიის სასესხო პორტფელი 18%-ით გაიზარდა და 119.5 მლნ ლარს მიაღწია, 24%-იანი ზრდა გვქონდა აქტივების კუთხით, ხოლო კაპიტალის მიმართულებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 13%-იანი გაუმჯობესება დავაფიქსირეთ. ფინანსურ მაჩვენებლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია წმინდა მოგება, რომელიც 2024 წელს 2023 წელთან შედარებით 74%-ით გაიზარდა.

მიკრობანკის ლიცენზიის მიღებით გამოწვეული ცვლილებები

მიკრობანკის სტატუსის მოპოვებასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ემბისის დაკრედიტების ლიმიტი და 2025 წლის განმავლობაში 1 მილიონ ლარს მიაღწევს. შესაბამისად, ახლა ჩვენი უმთავრესი ინტერესის სფერო, მიკრო დაკრედიტების პარალელურად, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაც იქნება. ემბისი კონცენტრირებული იქნება აღნიშნულ სეგმენტზე და აქტიურად იმუშავებს, რომ მისი შეთავაზებები იყოს უშუალოდ ამ ჯგუფის ინტერესებზე მორგებული, მათთვის საჭირო და მისაღები. ჩვენ ვგეგმავთ, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობის პულსზე გვეჭიროს ხელი და ნაკლები ბიუროკრატიით, ნაკლებ დროში, თუმცა, მაღალი საბანკო სტანდარტის, სანდო, მრავალფეროვანი და ხარისხიანი მომსახურება შევთავაზოთ მომხმარებლებს. მიკრობანკის ლიცენზიასთან ერთად მიღებულ უფლებებს შორის არის დეპოზიტების გახსნის შესაძლებლობა, რომელსაც ემბისი 2025 წლის განმავლობაში შესთავაზებს მომხმარებლებს. გარდა ამისა, ჩვენს კლიენტებს მიმდინარე ანგარიშებით სარგებლობის საშუალებაც ექნებათ.

მიკრობანკის ლიცენზიის მიღებას მოჰყვება ბევრად გამკაცრებული რეგულაცია, პრაქტიკულად, კომერციული ბანკების იდენტური. აღნიშნული რეგულაციების დაკმაყოფილება კი ნიშნავს ახალი თანამშრომლების აყვანას, არსებულების გადამზადებას, კვალიფიკაციის ზრდასა და რაც მთავარია, ღრმა კონკურენციაში ჩაბმასთან ძლიერ მეტოქეებთან, როგორიც არიან კომერციული ბანკები. ეს ყველაფერი ემბისის უბიძგებს იყოს უფრო სრულყოფილი, რის შედეგადაც მოგებული პირველ რიგში მომხმარებელი დარჩება - მას საქმე ექნება უფრო მაღალკვალიფიციურ სერვისთან, სერვისების უფრო ფართო სპექტრთან და რაც მთავარია, მეტად სანდო კომპანიასთან.

04. ბანკური ფინანსური პოლიტიკა

2024 წლის სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები

მიკრობანკის ლიცენზიის მიღება 2024 წლის ერთდღერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ ყოფილა. გასული წლის მიწურულს, კომპანიამ წარმატებით განათავსა საქართველოს საფონდო ბირჟაზე 30 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი ობლიგაციები, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენი მეორე ემისიაა. აღსანიშნავია ისიც, რომ 2024 წელს, მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარებისა, წამყვანმა ევროპულმა სარეიტინგო სააგენტო Scope Rating-მა გააუმჯობესა ემისიის საკრედიტო რეიტინგი B პოზიტიურიდან B+ სტაბილურამდე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი კომპანიის სტაბილურობასა და სანდოობას.

ემისიის საუკეთესო წლიური ანგარიშისა და გამჭვირვალობის კონკურსის - "ბარტა 2024"-ის საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდა. კომპანიამ, მცირე და საშუალო ორგანიზაციებს შორის, ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა გამარჯვება და აღნიშნულით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მის ერთგულებას კორპორაციული გამჭვირვალობისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მიმართულებით.

აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენთვის, როგორც პასუხისმგებელი ფინანსური ინსტიტუტისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ESG პრინციპების ინტეგრაციას როგორც შიდა პროცესებში, ისე კომპანიის გარეთ. მიგვაჩნია, რომ მდგრადი განვითარება არ არის მხოლოდ კორპორაციული პასუხისმგებლობა, არამედ გრძელვადიანი წარმატებისა და კონკურენტუნარიანობის არსებითი საფუძველია. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, ინტეგრირებული მიდგომით ვუპასუხოთ თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს და შევქმნათ ღირებულება ყველა დაინტერესებული მხარისთვის. შესაბამისად, 2025 წელს აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა იგეგმება.

მომავლის ხედვა

ემისიის მიკრობანკად ტრანსფორმაციის პროცესი 2025 წელსაც გაგრძელდება და დარწმუნებული ვარ, არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესო იქნება. ჩვენი გუნდი სრული შემართებით აგრძელებს მუშაობას, რათა წარმატებით განვახორციელოთ ყველა დასახული მიზანი და გავამართლოთ ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და აქციონერების ნდობა.

2025 წელს ემისიის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ბიზნეს პროცესების გაციფრულება იქნება. მიგვაჩნია, რომ ეს არის გადამწყვეტი ფაქტორი კონკურენტუნარიანობისა და გრძელვადიანი წარმატებისთვის. ჩვენ მზად ვართ, აქტიურად დავწეროთ ციფრული ტექნოლოგიები, რათა გავაუმჯობესოთ ეფექტიანობა და შევქმნათ ახალი ღირებულება ჩვენი მომხმარებლებისთვის.

მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო თითოეულ თანამშრომელს თავდაუზოგავი შრომისა და ერთგულებისთვის. თქვენი პროფესიონალიზმი და თავდადება არის ჩვენი წარმატების საწინდარი. ასევე, მადლობას ვუხდით ჩვენს მომხმარებლებსა და პარტნიორებს ნდობისთვისა და მხარდაჭერისთვის. მადლობა ემისიის აქციონერებს მუდმივი მხარდაჭერისა და პარტნიორობისთვის.


მჯერა, რომ ერთად, ჩვენ შევძლებთ ემისიის ვაქციით ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან და ინოვაციურ მიკრობანკად, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში.

პატივისცემით,

გია პეტრიაშვილი

გენერალური დირექტორი

მეცნიერებათა მეცნიერება




05. მაკროეკონომიკის მიმოხილვა

მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს წინასწარი შეფასებით, 2024 წელს საქართველოს ეკონომიკამ გამოავლინა მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია. რეალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა (მშპ) 9,4%-იან ნიშნულს მიაღწია, რაც 1,6 პუნქტით აღემატება 2023 წლის ფაქტობრივ მონაცემს.

მშპ-ს რეალური ზრდა




მიმდინარე ანგარიში

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული „საქართველოს საგადასახდელო ბალანსის“ მონაცემების თანახმად, 2024 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა 1,492 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მშპ-თან მიმართებაში -4,4%.

ანალიზი აჩვენებს, რომ 2024 წლის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი დაახლოებით 217 მილიონი აშშ დოლარით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მშპ-თან მიმართებით მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მნიშვნელოვანი კლება განიცადა 2021 წელს დაფიქსირებული 10,2%-დან 2022 წელს 4,1%-მდე. შემდგომ პერიოდში აღინიშნა მცირე ზრდა და 2023 წელს 4,3%-ს, ხოლო 2024 წელს 4,4%-ს მიაღწია.

მიმდინარე ანგარიში მშპ-თან



ექსპორტ-იმპორტი

2023 წელთან შედარებით, 2024 წელს საქართველოში ექსპორტის მოცულობა დაახლოებით 7,8%-ით გაიზარდა და 6,56 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი კი გაზრდილია დაახლოებით 8,6%-ით და 16.9 მილიარდ დოლარს შეადგენს.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების რეიტინგში 2024 წელსაც ლიდერობას ინარჩუნებენ მეზობელი სახელმწიფოები. ამასთან, ევროკავშირი მნიშვნელოვან სავაჭრო პარტნიორად რჩება, რომელზეც საქართველოს მთლიანი სასაქონლო იმპორტის 27,2% და ექსპორტის 8,7% მოდის.

საანგარიშო პერიოდში უმსხვილესი საექსპორტო მიმართულებები იყო: ყირგიზეთი (1,29 მილიარდი აშშ დოლარი), ყაზახეთი (860 მილიონი აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (720 მილიონი აშშ დოლარი).

იმპორტის თვალსაზრისით კი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2,8 მილიარდი აშშ დოლარი), შვედეთი (2 მილიარდი აშშ დოლარი), რუსეთი (1,8 მილიარდი აშშ დოლარი) და ჩინეთი (1,6 მილიარდი აშშ დოლარი).

05. მაკროეკონომიკის მიმოხილვა

ფულადი გზავნილები

2024 წელს საქართველოში ფულადი გზავნილების შემოდინების შემცირების ტენდენცია შენარჩუნდა.

საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში გადმორიცხული თანხების ჯამურმა მოცულობამ 3,3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 785 მილიონი აშშ დოლარით, ანუ 19%-ით ჩამოუვარდება 2023 წლის მაჩვენებელს.


ქვეყნების მიხედვით, გადმორიცხული თანხების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა შეერთებულ შტატებში, იტალიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, ისრაელში, ყირგიზეთსა და ესპანეთში. ამავდროულად, კლება შეინიშნება რუსეთის ფედერაციიდან, ყაზახეთიდან და თურქეთიდან გადმორიცხვებში.

ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში ფულადი შემოდინებების ისეთ ძირითად წყაროებში, როგორიცაა ფულადი გზავნილები და ტურიზმი. 2024 წელს ევროკავშირიდან მიღებული ფულადი გზავნილების წილმა საქართველოში გადმორიცხული მთლიანი თანხების 42,9% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2023 წლის 31,5%-იან მაჩვენებელს. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში ევროკავშირის წილი 2024 წელს 12,9%-ს გაუტოლდა, რაც მცირედით ჩამოუვარდება 2023 წლის 13,3%-იან მაჩვენებელს.


ჩარიცხვების განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით: აშშ - მთლიანი ჩარიცხვების 17%, იტალია - 16,9%, რუსეთის ფედერაცია - 16,1%, გერმანია - 8%.

გადარიცხვების განაწილება უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით: თურქეთი - მთლიანი გადარიცხვების 21,7%, აზერბაიჯანი - 12,8%, რუსეთის ფედერაცია - 11,7%, უკრაინა - 6,8%.

ფულადი გზავნილების ჩარიცხვები უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ.დოლარი)



ფულადი გზავნილების გადარიცხვები უმსხვილესი ქვეყნების მიხედვით (ათასი აშშ.დოლარი)



05. მაკროეკონომიკის მიმოხილვა

ტურიზმი


2024 წელს არარეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიურმა რაოდენობამ, 2023 წლის მონაცემს 5%-ით გადააჭარბა და 451,1 ათასი შეადგინა, რაც პანდემიამდელი მდგომარეობის, კერძოდ, 2019 წლის ვიზიტორების რაოდენობის 90%-ია. ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით უმსხვილესი ქვეყნებია: რუსეთის ფედერაცია (100,9 ათასი), თურქეთი (85,7 ათასი), სომხეთი (57,3 ათასი) და ევროკავშირის ქვეყნები (31,9 ათასი).

საანგარიშო პერიოდში ვიზიტორების საშუალო თვიურმა ხარჯმა 1,189.6 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 10%-ით აღემატება 2023 წლის საშუალო თვიურ მაჩვენებელს. მთლიანი თვიური ხარჯების სტრუქტურა შემდეგია: განთავსება - 400,7 მილიონი ლარი, საყიდლები - 286,4 მილიონი ლარი, საკვები და სასმელები - 266,1 მილიონი ლარი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2024 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წინასწარი მონაცემებით დაახლოებით 1,3 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც 2023 წლის 1,9 მილიარდიან ინვესტიციებს დაახლოებით 30%-ით ჩამოუვარდება.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)



2024 წლის უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით ასეთია:

ყველაზე დიდი პირდაპირი უცხოელი ინვესტორი საქართველოში გაერთიანებული სამეფოა - ჯამური ინვესტიციების 34%-ით, შემდეგ მალტა - 13%, ნიდერლანდები - 11%, აშშ - 7% და თურქეთი - 7%.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით




05. მაკროეკონომიკის მიმოხილვა

სექტორის მიხედვით დაყოფა კი ასე გამოიყურება:

საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 39%, დამამუშავებელი მრეწველობა - 13%, უძრავი ქონება - 12%, ენერგეტიკა - 10%, ტრანსპორტი - 7% და ვაჭრობა 6%.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით



დასაქმება და ხელფასები

საქართველოში უმუშევრობის დონემ 2021 წელს დაფიქსირებული პიკური მაჩვენებლის შემდეგ მდგრადი კლების ტენდენცია აჩვენა, რაც 2024 წელსაც გაგრძელდა. კერძოდ, თუ 2021 წელს უმუშევრობის დონე 20,6% იყო, 2022 წელს მან 17,3%-მდე, 2023 წელს 16,4%-მდე, ხოლო 2024 წელს 13,9%-მდე იკლო.

უმუშევრობის დონე



საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის მაჩვენებელი ასევე დადებით დინამიკას გვიჩვენებს. 2023 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 1,766.8 ლარი შეადგინა, ხოლო 2024 წლის წინასწარი მონაცემებით, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2,058.7 ლარამდე გაიზარდა.

05. მაკროეკონომიკის მიმოხილვა


გაცვლითი კურსი და საერთაშორისო რეზერვები

2024 წელს რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის საშუალო წლიურმა ცვლილებამ -5,4% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (11,6%).

2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, საქართველოს საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 4,4 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0,5 მილიარდი აშშ დოლარით ნაკლებია 2023 წლის ბოლოს დაფიქსირებულ მაჩვენებელზე. შესაბამისად, საერთაშორისო რეზერვების ადეკვატურობის ერთ-ერთი საზომი - საქონლისა და მომსახურების იმპორტის თვების დაფარვის კოეფიციენტი - 2024 წელს 3,4-დან 2,8%-მდე შემცირდა.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

ეროვნული ბანკის მიერ წინა წლებში გატარებული მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შედეგად 2024 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ (დეკემბერი/დეკემბერთან) 1,9% შეადგინა და მიზნობრივ 3%-იან მაჩვენებელზე ისევ ნაკლებია. 2023 წელს წლიური ინფლაცია 0,4% იყო. შესაბამისად, 2023 წლის დასაწყისიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება, რაც აისახა რეფინანსირების განაკვეთის კლებაში. 2022 წლის ბოლოსთვის რეფინანსირების განაკვეთი 11%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის ბოლოს 8%-მდე შემცირდა.



სახელმწიფო ბიუჯეტი

2022 წელს სახელმწიფო წაერთი ბიუჯეტის დეფიციტი დადგენილ 3%-იან ზღვარში დასტაბილურდა და 2,4% შეადგინა - მაშინ, როდესაც 2021 წელს დეფიციტი 6%-ს აჭარბებდა. 2024 წლის წინასწარი მონაცემებით ბიუჯეტის დეფიციტი 2,6%-იან ნიშნულზეა.

სახელმწიფო ვალი

2024 წელს სახელმწიფო ვალის მოცულობამ მშპ-თან მიმართებით 53% შეადგინა - აქედან 39% საგარეო, ხოლო 14% საშინაო ვალს უკავია. წინა წელთან მიმართებაში სახელმწიფო ვალის მოცულობა მშპ-თან მიმართებაში 1%-ით არის გაზრდილი.

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით 23,1 მილიარდი ლარი, ხოლო 2023 წლის მონაცემებით 24 მილიარდი ლარი შეადგინა. საშინაო ვალი 2024 წლის ბოლოს 10 მილიარდი ლარი გახლდათ, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით კი 8,6 მილიარდ ლარს გაუტოლდა.

საერთაშორისო რეიტინგი

2024 წელს საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი საერთო ჯამში უცვლელი დარჩა, თუმცა აღინიშნა ცალკეული სააგენტოების მიერ პერსპექტივის შეფასებაში განხორციელებული კორექტირებები.

05. მაკროეკონომიკის მიმოხილვა

- **S&P Global:** 2024 წლის დასაწყისში სარეიტინგო სააგენტო S&P Global-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB-ზე შეინარჩუნა, ხოლო პერსპექტივა „ნეგატიურიდან“ „სტაბილურზე“ გააუმჯობესა.
- **Moody's:** სარეიტინგო სააგენტო Moody's-მა 2024 წლის დასაწყისში საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი Ba2-ზე და პერსპექტივა „ნეგატიური“ უცვლელად დატოვა.
- **Fitch Ratings:** 2024 წლის დეკემბერში სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი BB დონეზე უცვლელად დატოვა, ხოლო პერსპექტივა „სტაბილურიდან“ „ნეგატიურამდე“ შეცვალა.

2025 წლის ეკონომიკური პროგნოზი

მიუხედავად გლობალური არასტაბილურობისა და გეოპოლიტიკური რისკების ფონისა, საქართველოს ეკონომიკის განვითარების პერსპექტივა 2025-2026 წლებში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მწვანე და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ინსტიტუტები წარმოადგენენ განსხვავებულ, თუმცა საერთო ჯამში პოზიტიურ პროგნოზებს საქართველოს ეკონომიკური ზრდის, ინფლაციისა და საგარეო სექტორის მაჩვენებლების შესახებ.

აზიის განვითარების ბანკის პროგნოზით, 2025 წელს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 6%-ით გაიზრდება, ხოლო 2026 წელს ეს მაჩვენებელი 5%-ზე დასტაბილურდება მომსახურების სექტორისა და ფულადი გზავნილების შემცირების ხარჯზე. 2025 წელს ინფლაცია 4%-მდე გაიზრდება, 2026 წელს კი ეს მაჩვენებელი დაიწყებს ცენტრალური ბანკის 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოებას. 2025-2026 წლებში გლობალური ბაზრების არასტაბილურობის გამო აზიის განვითარების ბანკის პროგნოზირებს გზავნილების შემოძინების შემცირებას, რის ხარჯზეც მოსალოდნელია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაზრდა. აგრეთვე სექტორი პროგნოზირებულია, რომ გაიზრდება 3,9%-ით გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურისა და მდგრადი პრაქტიკების განვითარების შედეგად.¹

საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდა 2025 წელს 5,2%, ხოლო 2026 წელს 4,7% იქნება. ინფლაცია 2025 წელს პროგნოზირებულია 3,7%, ხოლო 2026 წლიდან მცირდება და უახლოვდება 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2025 წელს პროგნოზირებულია 5,6%, ხოლო 2026 წელს 5,5%.²

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, 2025 წელს საქართველოს ეკონომიკა 6,1%-ით გაიზრდება. მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2025 წლისთვის (6,1%) 0,1 პროცენტული პუნქტით (პპ) აღემატება ეკონომიკური ზრდის მთავრობის პროგნოზს (6,0%). საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, საშუალოვადიან პერიოდში (2024-2028 წლებისთვის) ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიური ტემპი 6,3%-ს შეადგენს.

2025 წლისთვის ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალი იქნება და 2,2%-ს მიაღწევს. მთავრობის პროგნოზით კი, 2025 წელს ინფლაცია 3,2%-ს შეადგენს.

გამოცოცხლებული ეკონომიკური აქტივობის პარალელურად, კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობა 2025 წლისათვის 19,1%-ს მიაღწევს, საშუალოვადიან პერიოდში ზრდადი ტენდენცია ექნება და 2028 წელს 20,1%-ს შეადგენს. მთავრობის პროგნოზის მიხედვით, 2025 წლისთვის კერძო ინვესტიციების მშპ-თან ფარდობის ზრდა 19,2%-მდე არის მოსალოდნელი, საშუალოვადიან პერიოდში გაიზრდება და 2028 წლისთვის 19,8%-ს გაუტოლდება;

რაც შეეხება ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტს, 2025 წელს საბიუჯეტო ოფისის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელია -2,2%, რაც 0,3 პროცენტული პუნქტით განსხვავდება მთავრობის ანალოგიური მაჩვენებლისგან (-2,5%);

2025 წლისთვის საგადასახდლო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის მოსალოდნელი დეფიციტი მშპ-ის 4,2%-ია, ხოლო მთავრობის საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ის 4,2%-ს შეადგენს. საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, მიმდინარე ანგარიშის ბალანსი 2024-2028 წლებში საშუალოდ მშპ-ის -4,1%-ის ფარგლებში ჩამოყალიბდება.


საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, სავაჭრო დეფიციტი 2025 წელს მშპ-ს 7,4%-ს მიაღწევს, მთავრობის პროგნოზით დეფიციტი ასევე 7,8% იქნება.³

1. <https://www.adb.org/news/georgian-economy-grow-6-year-5-2026-adb>

2. <https://www.imf.org/en/News/Articles/2024/05/24/pr-24181-georgia-imf-executive-board-concludes-2024-article-iv-consultation>

3. <https://infogram.com/makroekonomikuri-prognozidekemberi-2024-2025-tslis-mesame-tsardgena-1h1749w3jkm3q2z?live>

**მედიკინის
მეცნიერება**



06. მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა


საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი 2006 წელს დაიწყო, როდესაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო შესაბამისი კანონი. მომდევნო ათწლეულის განმავლობაში სექტორმა მნიშვნელოვანი ზრდა განიცადა. 2010-2016 წლებში სექტორის მთლიანი აქტივების საშუალო წლიური ზრდის ტემპმა (CAGR) 36,7% შეადგინა, ხოლო მთლიანი სასესხო პორტფელის საშუალო წლიური ზრდის მაჩვენებელი (CAGR) იმავე პერიოდში 35,9%-ს აღწევდა.

თუმცა, 2017-2020 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სექტორის შემდგომ განვითარებაზე. აღნიშნული ცვლილებები მოიცავდა ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე 50%-იან ზღვრის დაწესებას, უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემის შეზღუდვას, პასუხისმგებლიანი დაკრედიტების სტანდარტების დანერგვას, კაპიტალისა და ლიკვიდობის მინიმალური მოთხოვნების განსაზღვრას და სხვა რეგულაციებს. შედეგად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა და 2024 წლის ბოლოსთვის 30-მდე დაეცა.

სექტორში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, სტაბილიზაციის ტენდენცია გამოიკვეთა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივების ზრდის ტემპში (CAGR), რომელმაც 2017-2023 წლებში 4,8% შეადგინა. 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი აქტივები 2,266 მილიონი ლარი (15,3%-იანი წლიური ზრდა) იყო. აღნიშნული აქტივების სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: 1,488 მილიონი ლარი (15,7%-იანი წლიური ზრდა, CAGR 2017-2023: 2,2%) წარმოადგენს ვალდებულებებს, ხოლო 778 მილიონი ლარი (6,3%-იანი წლიური ზრდა, CAGR 2017-2023: 10,9%) ფინანსდება საკუთარი კაპიტალით.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის ბოლოსთვის ემბისიმ მიიღო მიკრობანკის ლიცენზია, რის გამოც მისი მონაცემები არ არის ასახული სექტორის 2024 წლის ბოლოს კონსოლიდირებულ მაჩვენებლებში.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები, მლნ ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გამკაცრებული მარეგულირებელი გარემოს ფონზე, მიკროსაფინანსო სექტორის შემოსავლიანობა 2016 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება. აღნიშნული ტენდენცია პირდაპირ კავშირშია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზედა ზღვრის ეტაპობრივ შემცირებასთან, რომელიც 2017 წელს 100%-ით, ხოლო 2018 წელს 50%-ით განისაზღვრა. მსგავსმა მარეგულირებელმა შეზღუდვებმა არაკვალიფიციური მოთამაშეების ბაზრიდან გასვლა განაპირობა. შედეგად, ბაზარზე დარჩენილი კვალიფიციური მიკროსაფინანსო ორგანიზაციების პირობებში, სექტორის შემოსავლიანობა ბოლო პერიოდში 23-24%-ის ფარგლებში მერყეობს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახსრების ღირებულება სტაბილურობით გამოირჩევა და 2021-2024 წლებში საშუალოდ 11%-ს შეადგენს. ამავე პერიოდში საშუალო სპრედი 13%-ის ფარგლებში ნარჩუნდება.

06. მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემოსავლიანობა და სახსრების ღირებულება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა 1: შემოსავლიანობის მრუდი ასახავს საპროცენტო შემოსავლების ფარდობას მთლიან სასესხო პორტფელთან, ხოლო ეფექტური შემოსავლიანობა დამატებით მოიცავს საკომისიო შემოსავალსაც. კოეფიციენტები დათვლილია ლარში გამოსახული ჯამური მაჩვენებლებით.


შენიშვნა 2: 2018 წელს შემოსავლიანობის ზრდა ერთჯერადი ეფექტია და გამოწვეულია წლის ბოლოს ზოგიერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (ძირითადად ყოფილი ონლაინ სესხების გამცემი სუბიექტების) ბაზრიდან გასვლით და პორტფელის შემცირებით, მაშინ, როდესაც შემოსხუნებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საპროცენტო შემოსავლები სექტორის ჯამურ შემოსავალში აღირიცხა.

2024 წლის ბოლოს მდგომარეობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანმა საკრედიტო პორტფელმა 1,970 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 15,7%-იან წლიურ ზრდას ასახავს. სექტორის საკრედიტო პორტფელი 2017 წლამდე გამოირჩეოდა სწრაფი ზრდის ტემპით, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშის, „სს კრედოს“ მიერ კომერციული ბანკის სტატუსის მიღებით. ამ ფაქტორთან ერთად, მიკროსაფინანსო სექტორის საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებულმა ძირეულმა ცვლილებებმა დროებით შეანელა საკრედიტო პორტფელის ზრდა, თუმცა ამავედროულად ხელი შეუწყო მის გაჯანსაღებასა და სექტორში არსებული რისკების შემცირებას.

ამის თვალსაჩინო მაგალითია ვადაგადაცილებული სესხების წილის შემცირება მთლიან პორტფელში, რომელმაც 2021-2024 წლებში საშუალოდ 7,5% შეადგინა, ხოლო უმოქმედო სესხების წილი იმავე პერიოდში საშუალოდ 4,3%-ია. შედარებისთვის, 2019 წლის დასაწყისში აღნიშნული მაჩვენებლები 21,9%-სა და 17,9%-ს შეადგენდა.

სექტორის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება ასევე აისახა პორტფელზე შესაძლო დანაკარგების ხარჯის შემცირებაში. თუ 2016 წელს ეს მაჩვენებელი 3,8% იყო, 2024 წლის მდგომარეობით იგი 1%-ის ფარგლებშია.

ზარალი სესხების შესაძლო დანაკარგებიდან და მისი ფარდობა საშუალო სასესხო პორტფელთან



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


შენიშვნა: კოეფიციენტები დათვლილია ლარში გამოსახული ჯამური მაჩვენებლებით.

06. მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა

მიკროსაფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელი პრაქტიკულად მთლიანად დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში, რაც წარმოადგენს „ლარიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგს. აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად, 2017 წლიდან ფინანსურ ინსტიტუტებს შეზღუდული ჰქონდათ 100,000 ლარამდე ოდენობის სესხების უცხოურ ვალუტაში გაცემა. შემდგომში, 2023 წლის მაისიდან, მოცემული ლიმიტი გაიზარდა და 400,000 ლარი შეადგინა.

იმის გათვალისწინებით, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონმდებლობით განსაზღვრული აქვთ ერთ მსესხებელზე მაქსიმალური სასესხო ლიმიტი 100,000 ლარის ოდენობით, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი სექტორის მთლიან პორტფელში ნულოვან ნიშნულს უახლოვდება.

საკრედიტო პორტფელის განაწილება, მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: სამომხმარებლო სესხები მოიცავს სამომხმარებლო, ონლაინ, სალომბარდო სესხებსა და განვადებებს.

აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების დაფინანსების ძირითად წყაროს ნასესხები სახსრები წარმოადგენს. 2024 წლის ბოლოსთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მთლიანმა მოზიდულმა სასესხო რესურსებმა 1,380 მილიონი ლარი შეადგინა, რომლის 42% (582.6 მილიონი ლარი) კომერციული ბანკებიდან მიღებულ სესხებზე მოდის.

საქართველოს ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მოზიდული სახსრების წყაროების დივერსიფიკაციას და ნაკლებად ინფორმირებული ფიზიკური პირებისგან დამოკიდებულების შემცირებას კვალიფიციური ინვესტიორების სასარგებლოდ. ამ მიზნის მისაღწევად, 2017 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა რეგულაცია, რომელიც ზღუდავს 20-ზე მეტი ფიზიკური პირისგან ფინანსების მოზიდვას, თუ თითოეული ინდივიდის მიერ განხორციელებული ინვესტიცია 100,000 ლარზე ნაკლებია.

აღნიშნული მარეგულირებელი ცვლილების შედეგად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოზიდულ სასესხო რესურსებში იზრდება კომერციული ბანკებიდან და სხვა ალტერნატიული წყაროებიდან მოზიდული სახსრების წილი, რაც ხელს უწყობს სექტორის ფინანსური სტაბილურობის გაძლიერებას.




06. მიკროსაფინანსო ბაზრის მიმოხილვა

აქვე საყურადღებოა, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ მოზიდული სასესხო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, რომლის წილმა 2024 წლის ბოლოს 31% შეადგინა. ამავდროულად, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს უფლება აქვთ სესხები მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გასცენ, რასაც მოწმობს მათი სასესხო პორტფელის 99%-იანი ლარიზაციის მაჩვენებელი (2024 წლის ბოლოს მონაცემებით).

აღნიშნული შეუსაბამობა ქმნის პოტენციურ სავალუტო რისკს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. ამ რისკის ნაწილობრივ დასაზღვევად, ისინი ხშირად იყენებენ ადგილობრივ ბანკებთან დადებულ სავალუტო სვოპ ინსტრუმენტებს, რაც, თავის მხრივ, გარკვეულწილად ზრდის მათ საოპერაციო ხარჯებს.

მიკროსაფინანსოების მთლიანი ნასესხები სახსრები ვალუტის მიხედვით, მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

შენიშვნა: უცხოურ ვალუტაში ნასესხები სახსრების წილი გულისხმობს ლარის ეკვივალენტის წილს ჯამურ ნასესხებ სახსრებში (ასევე ლარის ეკვივალენტი)

ისტორიულად, მიკროსაფინანსო სექტორი საბანკო სექტორთან შედარებით მაღალი მომგებიანობით ხასიათდებოდა, რაც განპირობებული იყო პროდუქტებზე არსებული შედარებით მაღალი მარჟებით. თუმცა, 2016 წელს ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებმა, საპროცენტო განაკვეთებისა და მარჟის შემცირებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა მომგებიანობის მაჩვენებლებზე. აღნიშნული ნაწილობრივ კომპენსირდა 2016 წლის დეკემბერში ონლაინ საკრედიტო კომპანიების მიკროსაფინანსო ორგანიზაციებად რეგისტრაციით.


2017-2019 წლებში მარეგულირებელი ჩარჩოს გამკაცრებამ მნიშვნელოვნად შეამცირა სექტორის მომგებიანობის მაჩვენებლები. მიუხედავად ამისა, 2021 წლიდან დაწყებულმა პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა მომგებიანობის ზრდა, რის შემდეგაც აღნიშნული მაჩვენებლები სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა. 2023 წელს სექტორის წმინდა მოგება 125.3 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო ROAA (აქტივების მომგებიანობა) და ROAE (კაპიტალის მომგებიანობა) მაჩვენებლებმა, შესაბამისად, 6,4% და 18,6% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


შენიშვნა: ROAA მაჩვენებელი დათვლილია წმინდა მოგების ფარდობით მიმდინარე და გასული წლის აქტივების საშუალო მონაცემთან; ROAE მაჩვენებელი დათვლილია წმინდა მოგების ფარდობით მიმდინარე და გასული წლის კაპიტალის საშუალო მონაცემთან.

ბიზნის პოქაი და სტრატეგია



07. ბიზნეს მოქალაქე და სტრატეგია

კომპანიის ხედვა ეფუძნება გრძელვადიანი, გამჭვირვალე, ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას ბანკის მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან: მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან, საზოგადოებასა და პარტნიორებთან.



ემბისი საქმიანობას წარმართავს მომხმარებელზე ორიენტირებული და მდგრადი ბიზნეს მოდელის საფუძველზე, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისთვის ფართო სპექტრის ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების მიწოდებას. სწორედ მომხმარებლის საჭიროებებზე მაქსიმალური ფოკუსირება წარმოადგენს კომპანიის მთავარ კონკურენტულ უპირატესობას.

როგორც მიკრობანკის, ემბისის სტრატეგიული პრიორიტეტი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაა. კომპანიის მიზანია მისი შეთავაზებები სრულად იყოს მორგებული აღნიშნული სეგმენტის ინტერესებსა და საჭიროებებზე. ამასთან, ემბისის მთავარი უპირატესობა მომსახურების გამარტივებული პროცედურები, ოპერატიულობა, მაღალი საბანკო სტანდარტების დაცვა, სანდოობა და მრავალფეროვანი, ხარისხიანი მომსახურების მიწოდებაა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია უწყვეტად ისწრაფვის ყოველდღიურ საქმიანობაში საერთაშორისო მართვის სტანდარტების დანერგვისკენ. ამასთან, მუდმივად მიმდინარეობს პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს მომხმარებლებისთვის ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას.

ამასთანავე, ემბისის სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას მოსახერხებელი დისტანციური არხებისა და მომსახურებების განვითარება წარმოადგენს.

სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლების პროფესიული განვითარება, ცოდნაში ინვესტირება და მათთვის საინტერესო კარიერული შესაძლებლობების მხარდაჭერა, ასევე კორპორაციული სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა. ამასთან, კომპანია ცდილობს სანდო პარტნიორობა გაუწიოს პარტნიორებსა და ინვესტორებს.

ემბისი აცნობიერებს მის ზეგავლენას გარემოზე, საზოგადოებაზე, თანამშრომლებზე, პარტნიორებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე და აქტიურად ცდილობს ბიზნეს საქმიანობის შედეგად მაქსიმალურად გაზარდოს დადებითი ზეგავლენა და მინიმუმამდე შეამციროს ნებისმიერი უარყოფითი გავლენა.

კომპანიის სტრატეგიული პრიორიტეტები

- ფინანსური პროდუქტების განვითარება და მათი ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობა;
- ინოვაციური მიდგომების ინიცირება და მომსახურების ციფრული არხების განვითარება;
- მიკრობანკის ლიცენზიის მიღებით გაჩენილი შესაძლებლობების ეფექტიანი ინტეგრირება ყოველდღიურ საქმიანობაში;
- თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული ზრდის ხელშეწყობა;
- კორპორაციული მდგრადობის უზრუნველყოფა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების მართვა;
- მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდა;
- რისკების ეფექტური მართვა.

ფინანსური პროდუქტების განვითარება და ეფექტიანი გამოყენება

კომპანია წარმოდგენილია 17 სერვისის ცენტრით საქართველოს 8 რეგიონში. მომდევნო წლებში დაგეგმილია ქსელის გაფართოება. თუმცა, კომპანიის სტრატეგიის შესაბამისად, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ციფრული ტრანსფორმაციის გაღრმავება, რაც გულისხმობს ძირითად პროდუქტებში გაყიდვების არხების დივერსიფიკაციასა და პროცესების გაციფრულების გზით პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.

ემბისის მომხმარებლები მომსახურებას იღებენ როგორც სერვისის ცენტრებში, ასევე დისტანციური არხების მეშვეობით. მომსახურება მოიცავს საკრედიტო და არასაკრედიტო პროდუქტების ფართო სპექტრს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის. ორივე მიმართულებით მუდმივად მიმდინარეობს როგორც არსებული პროდუქტების სრულყოფა, ასევე ახალი, ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების დამატება. ემბისი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თავისი პროდუქტებისა და მომსახურების, შიდა სისტემების, პროცედურებისა და სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავებას, განახლებას, გამართულ ინტეგრაციასა და უწყვეტ მონიტორინგს.

ინოვაციური მიდგომების ინიცირება და მომსახურების ციფრული არხების განვითარება

კომპანია აგრძელებს ინვესტირებას ციფრული არხების განვითარებაში, რათა მომხმარებლებს შესთავაზოს უფრო მოსახერხებელი და ეფექტური საბანკო მომსახურება. ემბისი მუდმივად აუმჯობესებს ციფრულ შესაძლებლობებს, დისტანციურ პროდუქტებსა და მომსახურებებს, ავითარებს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს როგორც მომხმარებლებისა და თანამშრომლებისთვის, ასევე მიზნობრივი ჯგუფების მხარდასაჭერად.

ემბისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინოვაციების წახალისებასა და პერსპექტიული იდეების მდგრად ფინანსურ მოდელებად ტრანსფორმაციის ხელშეწყობას, რაც გულისხმობს ბაზრისთვის სწრაფი განვითარების პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტების შეთავაზებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, ინოვაციური პროდუქტების ოპერატიულ და ეფექტიან დანერგვასა და მომხმარებლებისთვის მათ ხელმისაწვდომობას.

მიკრობანკის ლიცენზიის მიღება და სამომავლო პერსპექტივები

2024 წელს ემბისისთვის მნიშვნელოვანი ეტაპი დადგა მიკრობანკის ლიცენზიის მიღებით. კომპანიამ წინასწარ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და ბიზნეს გეგმა სრულად მოარგო საკანონმდებლო მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს.

მიკრობანკად გარდაქმნამ კომპანიას ახალი, მნიშვნელოვანი შესაძლებლობები გაუხსნა. ამ გარდამტეხ მომენტთან დაკავშირებით, ემბისიმ დაიწყო აქტიური მუშაობა რეგულაციებზე, სტრატეგიის განახლებაზე, მომხმარებელთა გაფართოებული სეგმენტისთვის ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზებაზე, გაყიდვების თანამედროვე არხებისა და მეთოდების დანერგვაზე, ციფრულ ტრანსფორმაციასა და ახალი სტრუქტურული ერთეულების ფორმირებაზე.

მიკრობანკის სტატუსის მოპოვება ხელს შეუწყობს საკრედიტო პორტფელისა და არასაკრედიტო შემოსავლების მდგრად ზრდას. ჩვენი მოლოდინია, რომ საბანკო ლიცენზია მნიშვნელოვან დადებით გავლენას მოახდენს მომხმარებელთა რაოდენობის ზრდასა და ლოიალობის გაძლიერებაზე.

თანამშრომელთა განვითარება

კომპანიის წარმატების საფუძველი და ყველაზე ღირებული აქტივი სწორედ თანამშრომელთა გუნდია. მენეჯმენტი განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს მათთვის უსაფრთხო, განვითარებაზე ორიენტირებული, წამახალისებელი, კომფორტული და მეგობრული სამუშაო გარემოს შექმნას. პერსონალის მართვის სტრატეგია სრულად ემყარება მაღალი მოტივაციის სისტემასა და ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობას.

ემბისი უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე ზრუნვას, ხელს უწყობს მათი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას, ქმნის ხელსაყრელ პირობებს პროფესიული წინსვლისა და კარიერული განვითარებისთვის. კომპანია აქტიურად უჭერს მხარს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს. თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაცია და კომპეტენცია კომპანიის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

07. ბიზნეს პოლიტიკა და სტრატეგია

კორპორაციული მდგრადობის უზრუნველყოფა და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების მართვა

ემბისიში კარგად ვაცნობიერებთ ჩვენს სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას და ვცდილობთ კომპანიის საქმიანობა შეესაბამებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს.

კომპანია აღიარებს საკუთარ მნიშვნელოვან როლს მდგრადი განვითარების ხელშეწყობაში და სტრატეგიულ მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) რისკების ეფექტიან მართვას. ამ მიზნის მისაღწევად, ემბისი აქტიურად მუშაობს როგორც შიდა ოპერაციების ოპტიმიზაციაზე, ისე მდგრადი პროდუქტებისა და სერვისების განვითარებაზე. სამომავლოდ ვგეგმავთ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და მართვის მექანიზმების გაძლიერებას, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) დანერგვასა და ESG მიმართულებით გამჭვირვალობის გაზრდას.

კომპანიის მიზანია ინტეგრირებული მიდგომის საფუძველზე გააძლიეროს მისი პოზიტიური ზეგავლენა საზოგადოებასა და გარემოზე, ხოლო რისკების მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტების გამოყენებით უზრუნველყვით გრძელვადიანი და სტაბილური განვითარება.


მომხმარებელთა კმაყოფილების გაზრდა

კომპანიის უმთავრესი მიზანია საფინანსო ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერი მომსახურების მიმწოდებლის პოზიციის მიღწევა და შენარჩუნება. ამ მიზნის წარმატებით განსახორციელებლად ემბისი მუდმივად სწავლობს მომხმარებელთა საჭიროებებს, ატარებს რეგულარულ გამოკითხვებსა და კვლევებს, უზრუნველყოფს სისტემატურ პირდაპირ კომუნიკაციას მომხმარებლებთან და ეფექტიანად იყენებს უკუკავშირის არხებს. მიღებული ინფორმაცია მუშავდება და დეტალურად ანალიზდება, რაც გვეხმარება მომხმარებელთა მოთხოვნების შესაბამისად მოვახდინოთ პროდუქტებისა და მომსახურების ტრანსფორმაცია და მაქსიმალურად მოვარგოთ ისინი მათ ინტერესებს. აღნიშნული მიდგომა საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოლოდინები, გავითვალისწინოთ მათი საჭიროებები და შევინარჩუნოთ მომსახურების მაღალი სტანდარტი.

რისკების ეფექტური მართვა

ემბისის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს რისკების მართვის საკითხს, რაც უზრუნველყოფს კომპანიის აქტივების მაღალ ხარისხსა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას. რისკის მართვის პროცესში ჩაბმულია კომპანიის ყველა თანამშრომელი, რაც რისკის მართვის სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მკაფიოდ აქვთ განსაზღვრული მისი როლი და პასუხისმგებლობა რისკების მართვის ნაწილში, რაც პროცესების ეფექტიანობას განსაზღვრავს.

ქონიერების შეჯიბვის მომზადება



08. ქირითაი პაღაბაჰის შიჟოხიღჲ

2024 წელი ემბისისთვის მნიშვნელოვანი სიახლეებითა და მიღწევებით იყო სავსე. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომპანიას მიკრობანკის ლიცენზია მიანიჭა, რის შედეგადაც ემბისი გახდა პირველი მიკრობანკი საქართველოში. აღნიშნული მოვლენა მნიშვნელოვან პრეცედენტს ქმნის მთლიანად ბაზრისთვის და სამომავლოდ, ხელს შეუწყობს ჯანსაღ კონკურენციას, ფინანსური სექტორის განვითარებასა და მის დივერსიფიკაციას.

მიუხედავად გამოწვევებისა, 2024 წლის ბოლოს კომპანიის მთლიანმა სასესხო პორტფელმა მნიშვნელოვანი 18%-იანი ზრდა აჩვენა და 119.5 მილიონი ლარი შეადგინა. ამჟამად, ემბისი საქართველოს მასშტაბით 17 სერვის ცენტრითაა წარმოდგენილი. ქსელის ეფექტიანი ფუნქციონირება კი გახლავთ უმთავრესი მიზეზი, რამაც საანგარიშო პერიოდში კომპანიის სასესხო პორტფელის ზრდა განაპირობა.

ამასთან, 7,8%-ით გაიზარდა ემბისის აქტიურ მსესხებელთა რიცხვიც და 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით 9,300-ს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ სასესხო პროდუქტების მომხმარებელთა 70%-ს მომსახურებას საქართველოს რეგიონული სერვის ცენტრები უწევენ.

სასესხო პორტფელი

ლ119.5 მლნ
(+18%)

აქტიური მსესხებლები

9 300
(+7.8%)

რეგიონული სერვის ცენტრების წილი

70%

მოზიდული სახსრების მოცულობის მატების შედეგად, 2024 წლის ბოლოს ემბისის მთლიანი ვალდებულებები 26%-ით გაიზარდა და 121,7 მილიონი ლარი შეადგინა. კომპანიამ წარმატებით შეძლო ახალი სესხების მოზიდვა კონკურენტულ ფასში, როგორც უცხოურ ვალუტაში, ასევე ლარში.

2024 წლის ბოლოს ემბისიმ საქართველოს საფონდო ბირჟაზე 30 მილიონი ლარის მოცულობის არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები განათავსა, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული მეორე ემისიაა. მოზიდული სახსრებიდან 15 მილიონი ლარი მიმართულ იქნა 2022 წელს გამოშვებული და ვადაგასული ობლიგაციების დაფარვაზე, დარჩენილი ნაწილი კი სხვა სასესხო ვალდებულებების დაფარვასა და საბრუნავი საშუალებების დაფინანსებას მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ ობლიგაციების ვადა 2 წელს შეადგენს.

ობლიგაციების წარმატებულმა გამოშვებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ემბისის ლიკვიდურობის პოზიცია. კერძოდ, მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები დარეფინანსირდა შედარებით გრძელვადიანი ობლიგაციებიდან მიღებული სახსრებით. გარდა ამისა, ობლიგაციების გამოშვებამ დადებითი გავლენა იქონია დაგირავებული აქტივების კოეფიციენტის მატერიალურ შემცირებაზე.

მოზიდული სახსრების მოცულობა

ლ113.7 მლნ
(+26%)

ობლიგაციები

ლ30 მლნ

08. ძირითადი მაჩვენებლის მიმოხილვა

გასულ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის მთლიანი კაპიტალი. ზრდამ 13% შეადგინა, რაც 2024 წელს გაუმჯობესებული მომგებიანობის მაჩვენებლითაა განპირობებული. ემბისის აკუმულირებულმა მოგებამ 3.5 მილიონი ლარი შეადგინა.

ემბისი მრავალი წელია აქტიურად თანამშრომლობს წამყვან ევროპულ სარეიტინგო კომპანია Scope Rating-თან, რომელმაც 2024 წლის ბოლოს მიკრობანკის საკრედიტო რეიტინგი B პოზიტიურიდან B+ სტაბილურამდე (B+ Stable) გაზარდა. სარეიტინგო სააგენტოს განმარტებით, რეიტინგის ზრდა უკავშირდება ემბისის გაუმჯობესებულ ფინანსურ მაჩვენებლებსა და კომპანიის პირველ ლიცენზირებულ მიკრობანკად ტრანსფორმაციას. Scope Rating-ის შეფასებით, ემბისიმ მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით დაამტკიცა მისი ფინანსური სტაბილურობა. კომპანიის რისკების მართვის სისტემა კი შესაბამისობაშია საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკებისთვის დაწესებულ მარეგულირებელ ჩარჩოსთან.

ემბისი პირველი ლიცენზირებული მიკრობანკია საქართველოში. მიკრობანკის ლიცენზია კომპანიას საშუალებას აძლევს საფინანსო მომსახურების უფრო ფართო სპექტრი შესთავაზოს მომხმარებელს. კერძოდ, 10-ჯერ გაიზარდა ორგანიზაციის დაკრედიტების ლიმიტი და 1 მილიონ ლარს მიაღწია. ამასთან, უმნიშვნელოვანესი პერსპექტივა გაჩნდა დეპოზიტების მოზიდვის მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის მოზიდული სახსრების დივერსიფიკაციასა და გაიაფებას. გარდა ამისა, მიკრობანკის ლიცენზიის ფარგლებში, ემბისის უკვე შეუძლია მომხმარებლებისთვის მიმდინარე ანგარიშების გახსნა და საოპერაციო პროდუქტების ასორტიმენტის მნიშვნელოვნად გაფართოება.

კომპანიის ძირითადი მიმართულება მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაა, რაც სრულად შეესაბამება მიკრობანკების მანდატს. აღნიშნული მანდატის თანახმად, მიკრობანკის სასესხო პორტფელის არანაკლებ 70% სწორედ ბიზნესის დაკრედიტებაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

გვერდი 6 უჩინოვრობა და დაფინანსება



09. ინვესტირება ურთიერთობა და დაფინანსება

2024 წელი მნიშვნელოვანი იყო ემბისისთვის საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით. კერძოდ, შეიქმნა ინვესტირებათა ურთიერთობის ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია არსებული კავშირების გაძლიერება და ახალი, გრძელვადიანი პარტნიორობის დამყარება. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ინვესტირებათა კომუნიკაციის ეფექტურობის ზრდას და ურთიერთობების ხარისხობრივად ახალ საფეხურზე აყვანას.

ფინანსური სტაბილურობისა და ზრდის უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წელს ემბისიმ წარმატებით მოიზიდა გრძელვადიანი სასესხო რესურსები და განახორციელა ობლიგაციების განთავსება. სესხების მოზიდვა მოხდა როგორც ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან, ასევე საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან. აღსანიშნავია, რომ კომპანიამ ეფექტურად შეძლო არა მხოლოდ ახალი ინვესტიციების მოზიდვა მიმდინარე და სამომავლო განვითარების პროექტების დასაფინანსებლად, არამედ წარმატებით განახორციელა ვადამოსული ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია და რეფინანსირება ახალი, უფრო ხელსაყრელი პირობების მქონე სესხებით.

2024 წელს კომპანიამ სამი არსებული და ორი ახალი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციისგან ჯამურად 12,5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია მოიზიდა, რაც 102%-იანი ზრდაა 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

სავალუტო რისკების ეფექტური მართვის მიზნით, ეროვნულ ვალუტაში დაფინანსების მოზიდვა ემბისისთვის კვლავ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. 2024 წელს კომპანია აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ კომერციულ ბანკებთან. შედეგად, შესაძლებელი გახდა 11 მილიონი ლარის მოცულობის სესხების მიღება გაუმჯობესებული პირობებით, რაც 26%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ემბისი დაარსების დღიდან წარმატებით იზიდავს სახსრებს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან. 2024 წლის ბოლოს ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მოზიდული სახსრებს მოცულობამ 13,4 მილიონი ლარი შეადგინა.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან
მოზიდული ფულადი სახსრები

\$ 12.5 მლნ
(+102%)

ადგილობრივი კომერციული
ბანკებისგან მოზიდული სახსრები

₾ 11 მლნ
(+26%)


ფიზიკური და იურიდიული პირებისგან
მოზიდული ფულადი სახსრები

₾ 13.4 მლნ

09. ინვესტიციები ურთიერთობა და დაფინანსება

2024 წლის ბოლოს ემბისიმ, Galt & Taggart-ის მხარდაჭერით, საქართველოს საფონდო ბირჟაზე 30 მილიონი ლარის მოცულობის ორწლიანი არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები განათავსა, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული მეორე ემისიაა. ობლიგაციები ადგილობრივმა კომერციულმა ბანკებმა შეიძინეს. აღნიშნული ტრანზაქციის საშუალებით, ემბისიმ მატერიალურად შეამცირა დაგირავებული აქტივების კოეფიციენტი და გაუმჯობესა ლიკვიდობის პოზიცია. საბოლოო ანგარიშით, ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული სესხებისა და შეძენილი ობლიგაციების მოცულობამ 2024 წლის ბოლოსთვის 50 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ვალდებულებების სტრუქტურა




მოზიდულ სასესხო რესურსებთან ერთად, ემბისის მნიშვნელოვან მხარდაჭერას უწევს საერთაშორისო პარტნიორები სხვადასხვა საგრანტო პროგრამის ფარგლებში. 2024 წელს კომპანიამ წარმატებით მოიპოვა 215 ათასი ლარის ოდენობის საგრანტო დაფინანსება, რომელიც მიმართული იყო ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტის - აგრო სესხების განვითარებაზე.

ემბისი მრავალი წელია ნაყოფიერად თანამშრომლობს ევროპის წამყვან სარეიტინგო კომპანია Scope Rating-თან. 2024 წლის ბოლოს მიკრობანკის საკრედიტო რეიტინგი გაუმჯობესდა B პოზიტიურიდან B+ სტაბილურამდე (B+ Stable). სარეიტინგო სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული წინსვლა განპირობებულია ემბისის გაუმჯობესებული ფინანსური მაჩვენებლებითა და კომპანიის პირველ ლიცენზირებულ მიკრობანკად გარდაქმნით. Scope Rating-ის შეფასებით, ემბისიმ მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების დაცვით დაადასტურა მისი ფინანსური სტაბილურობა, ხოლო კომპანიის რისკების მართვის სისტემა სრულ თანხვედრაშია საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკებისთვის დაწესებულ მარეგულირებელ ჩარჩოსთან.

ემბისის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სტაბილური, მდგრადი და განვითარებაზე ორიენტირებული ურთიერთობების შენარჩუნება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ პარტნიორებთან. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომაც კომპანიამ მოიპოვა მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა არსებული პარტნიორი ორგანიზაციებისგან და აქტიურად აგრძელებს მოლაპარაკებებს ინვესტიციების ბაზის გაფართოებისა და დივერსიფიკაციის მიზნით.

ქონიერების ჩივილი და ბუნებრივი გარემოს დაცვა



10. ძირითადი რისკები და გაუმჯობესება

რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და ძირითადი პრინციპები

რისკების მართვის პროცესში აქტიურად არის ჩართული კომპანიის ყველა თანამშრომელი, რაც წარმოადგენს რისკის მართვის სისტემის ქვაკუთხედს და მნიშვნელოვან წინაპირობას კომპანიის მდგრადი განვითარებისთვის. თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს მკაფიოდ აქვს განსაზღვრული თავისი როლი და პასუხისმგებლობა რისკების მართვის ჭრილში, რაც უზრუნველყოფს პროცესების ეფექტიან და შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

რისკების მართვა ხორციელდება ერთიანი, ინტეგრირებული სისტემის ფარგლებში, რომლის ძირითადი მიზნებია:

- არსებული რისკებისა და პოტენციური საფრთხეების დროული იდენტიფიცირება და შეფასება;
- შესაძლო ფინანსური და არაფინანსური დანაკარგების პრევენცია;
- დამდგარი ინციდენტების ეფექტიანი მართვა;
- კომპანიის სტრატეგიული მიზნების წარმატებით მიღწევის ხელშეწყობა;
- შიდა კონტროლის სისტემის უწყვეტი გაუმჯობესება და სრულყოფა;
- ოპერაციების ეფექტიანობისა და ოპტიმიზაციის ხელშეწყობა;
- ორგანიზაციის გრძელვადიანი მდგრადობის განმტკიცება;
- მოქმედ მარეგულირებელ მოთხოვნებთან და აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს ადეკვატურ ზედამხედველობას, მკაფიო ანგარიშვალდებულებასა და ფუნქციების განაწილებას. რისკების მართვის უმაღლეს საზედამხებელო ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიულ მიმართულებებს და ზედამხედველობას უწევს განსაზღვრული მიზნების შესრულებას. თავის მხრივ, დირექტორატი უშუალოდ მონაწილეობს ბანკის ყოველდღიური ოპერაციული პროცესების მართვაში.

რისკების მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა და რისკისადმი მიდგომა

რისკების ეფექტიანი მართვისთვის კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ადგენს ბანკის რისკების აპეტიტს. რისკის აპეტიტის შემუშავებისას გათვალისწინებულია კომპანიის სტრატეგია, კაპიტალი, ფინანსური გეგმები და ანაზღაურების პოლიტიკა.

რისკის აპეტიტი მოიცავს ყველა არსებით რისკს, რომელიც დაკავშირებულია ბანკის პროდუქტებთან, საქმიანობასთან, ბიზნეს პროცესებთან, სისტემებთან, ოპერაციებთან და სტრატეგიასთან. იგი განსაზღვრავს როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და საზომებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება რისკის აპეტიტის ფარგლებში ბანკის საქმიანობის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის შეფასება.

რისკის აპეტიტი განსაზღვრავს როგორც ინდივიდუალურ, ისე აგრეგირებულ დონეზე არსებულ რიცხობრივ და ხარისხობრივ რისკის ინდიკატორებსა და მათ დასაშვებ ზღვრებს. ამ საზღვრების ფარგლებში ბანკი წარმართავს თავის ბიზნეს საქმიანობას, ითვალისწინებს რა არსებულ კაპიტალს, რისკების მართვისა და კონტროლის მექანიზმებს, განსაზღვრულ სტრატეგიასა და აქციონერების, კრედიტორების, მარეგულირებელი ორგანოებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ დაწესებულ შეზღუდვებს.

რისკის აპეტიტის ჩარჩო მოიცავს ყველა არსებითი რისკის შეფასებასა და მართვას, რაც უზრუნველყოფს რისკის დროულ გამოვლენას, შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებასა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას რისკის დადგომამდე.

რისკის აპეტიტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ბანკის მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებთან. მისი შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია კონკურენტული გარემო, მარეგულირებელი ორგანოების ხედვები, ბანკის გრძელვადიანი ინტერესები, ორგანიზაციის რისკის მთლიანი პოზიცია, კომპანიის მასშტაბი, კომპლექსურობა და რისკის პროფილი. რისკის აპეტიტზე დაყრდნობით, კომპანიაში შემუშავებულია რისკების მართვის საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალური სახელმძღვანელო პრინციპები და პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტები განსაზღვრავს რისკების მართვის სტანდარტებსა და კრიტერიუმებს, თანამშრომელთა უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს, რაც უზრუნველყოფს ბანკის რისკების ეფექტიან მართვას.

10. ძირითადი რისკები და გაუმჯობესება

გარდა ამისა, რისკების ეფექტიანი მართვის პროცესი მოიცავს რისკების სისტემატურ იდენტიფიცირებას, შეფასებას, მისაღები დონის განსაზღვრას, უწყვეტ მონიტორინგსა და რისკების შესამცირებელი ქმედებების განხორციელებას იმ შემთხვევაში, თუ რისკის დონე გადაჭარბებს ბანკის მიერ დადგენილ ზღვრებს.

ინდივიდუალური რისკების ყოველდღიური მართვა ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ „დაცვის სამი ხაზის“ პრინციპს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნას, რაც მიმართულია მთლიანი რისკების ეფექტიანი მართვის მიღწევისკენ და, თავის მხრივ, ხელს უწყობს მიკრობანკის შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას.

„დაცვის სამი ხაზის“ მოდელი მკაფიოდ გამოყოფს რისკის მფლობელობისა და მართვის ფუნქციებს იმ საქმიანობებისაგან, რომლებიც ახორციელებენ რისკების ზედამხედველობასა და დამოუკიდებელ აუდიტს.

დაცვის პირველი ხაზი (ბიზნესის ხაზი): ბანკის სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უშუალოდ ფლობენ და მართავენ რისკებს თავიანთი საქმიანობის ფარგლებში.

დაცვის მეორე ხაზი: წარმოადგენს დაცვის პირველი ხაზისგან დამოუკიდებელ ფუნქციას, რომელიც ახორციელებს კომპანიის მიერ რისკის აღების პროცესის მონიტორინგს. იგი ბიზნესის ხაზისგან დამოუკიდებლად აფასებს არსებულ და პოტენციურ რისკებს, ასევე მათთან დაკავშირებულ საკითხებს.

დაცვის მესამე ხაზი: ბანკში დაცვის მესამე ხაზს წარმოადგენს შიდა აუდიტი. შიდა აუდიტი სრულიად დამოუკიდებელია დაცვის პირველი და მეორე ხაზებისგან. მისი ძირითადი ფუნქციაა კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის, დაცვის პირველი და მეორე ხაზების ფუნქციონირების, ასევე რისკების მართვის მთლიანი ჩარჩოს თანმიმდევრულობისა და ეფექტიანობის ობიექტური შეფასება.

რისკის მართვის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოსთან 2025 წლიდან შექმნილი რისკების მართვის კომიტეტი (შემდგომში „რისკების კომიტეტი“) პასუხისმგებელი იქნება შემდეგი საკვანძო ფუნქციების შესრულებაზე:

- განიხილავს რისკის მართვის სტრატეგიებს, როგორც აგრეგირებულ, ისე ინდივიდუალურ ქრილში და წარუდგენს შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის ბანკის მიმდინარე და სამომავლო რისკის აპეტიტის თაობაზე;
- მოამზადებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშს ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ;
- ზედამხედველობას გაუწევს ღირებულებების მიერ ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცედურების აღკვეთულობას;
- აქტიურად ითანამშრომლობს და ზედამხედველობას გაუწევს რისკების ღირებულების საქმიანობას;
- სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგენს რეკომენდაციებს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტიანობის შესახებ, მათ შორის იდენტიფიცირებული რისკებისთვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებასთან დაკავშირებით;
- განახორციელებს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების, ასევე ყველა სახის რისკის (საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, რეპუტაციული) მონიტორინგს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა ბანკის რისკის აპეტიტთან;
- რეკომენდაციას გასცემს გარე კონსულტანტის დანიშვნასთან დაკავშირებით, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭომ ან მისმა კომიტეტებმა შესაძლოა მიმართონ კონსულტაციისთვის ან რჩევისთვის;
- განიხილავს სხვადასხვა შესაძლო სცენარს, მათ შორის სტრეს-სცენარებს, რათა შეაფასოს გარე და შიდა ფაქტორების გავლენა ბანკის რისკის პროფილზე;
- ზედამხედველობას გაუწევს კლიენტებისთვის შეთავაზებული მატერიალური ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების, მათ შორის მათი ფასების, შესაბამისობას ორგანიზაციის ბიზნეს მოდელსა და რისკის სტრატეგიასთან. რისკების კომიტეტი პასუხისმგებელი იქნება შეაფასოს შეთავაზებულ ფინანსურ პროდუქტებთან და მომსახურებებთან დაკავშირებული რისკები და გაითვალისწინოს ამ პროდუქტებისა და სერვისების ფასის შესაბამისობა მათგან მიღებულ მოგებასთან;

10. ძირითადი რისკები და გაუმჯობესება

- შეაფასებს შიდა და გარე აუდიტორების რეკომენდაციებს და აუდიტის კომიტეტთან თანამშრომლობით ზედამხედველობას გაუწევს შესაბამისი მაკორექტირებელი ზომების განხორციელებას;

- განახორციელებს ჰილარ 3-ის ანგარიშგების პროცესის, მათ შორის ESG საკითხების ანგარიშგების მონიტორინგს.

რისკების კომიტეტის ძირითადი პასუხისმგებლობა იქნება სამეთვალყურეო საბჭოსთვის შესაბამისი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების წარდგენა ბანკის არსებულ და სამომავლო რისკის აპეტიტთან დაკავშირებით. კომიტეტი ასევე აწარმოებს რეგულარულ ანგარიშგებას საბჭოსთვის იდენტიფიცირებული მატერიალური რისკებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურის, ეფექტიანი ფუნქციონირების, უწყვეტობისა და ზოგადად ბანკში დამკვიდრებული რისკის კულტურის თაობაზე.

რისკების კომიტეტი სისტემატურად მიიღებს ანგარიშებს რისკების ღირებულებისა და სხვა შესაბამისი ფუნქციონალური ერთეულებისგან ბანკის მიმდინარე რისკის პროფილის, რისკის კულტურის, გაცხადებულ რისკის აპეტიტთან შესაბამისი აქტივობების, დაწესებული ლიმიტების, ლიმიტების დარღვევისა და შემუშავებული მიტიგაციის გეგმების შესახებ.

რისკების კომიტეტი ითანამშრომლებს რისკების დირექტორთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბანკის რისკების მართვის სისტემის ეფექტურობა და პროპორციულობა ბანკის რისკების ბუნებასთან, მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან.

ბანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება შემდეგი რისკები:

- საკრედიტო რისკი: ბანკის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკი წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ძირითად რისკს. იგი გულისხმობს ფინანსური ტრანზაქციის ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად კონტრაგენტისათვის ფინანსური ზარალის მიყენების რისკს. საკრედიტო რისკის პოზიცია წარმოიქმნება ბანკის საკრედიტო ოპერაციების, ასევე პარტნიორებთან განხორციელებული სხვა ფინანსური ტრანზაქციების შედეგად, რაც განაპირობებს ფინანსური აქტივებისა და კრედიტთან დაკავშირებული გარებალანსური ვალდებულებების წარმოშობას. ცხადია, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს როგორც ბანკებისთვის, ისე საბანკო ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოებისთვის. ბანკის საკრედიტო სტრატეგიის ქვაკუთხედს წარმოადგენს დივერსიფიცირებული და მომგებიანი საკრედიტო პორტფელის ფორმირება, ამასთანავე მისი მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნება.

- საოპერაციო რისკი: გულისხმობს ზარალის რისკს, რომელიც ბანკმა შესაძლებელია მიიღოს არაადეკვატური ან გაუმართავი შიდა პროცესებით, სისტემების ჩავარდნით/უმოქმედობით, ადამიანური შეცდომების, თაღლითობის ან სხვა გარე ზემოქმედების გამო, მათ შორის ისეთი რისკების ჩათვლით, როგორიცაა კიბერშეტევები და სხვა.

- ლიკვიდობის რისკი: წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის სტრუქტურაში არსებული შეუსაბამობებიდან. აღნიშნული შეუსაბამობა ქმნის რისკს იმისა, რომ მოზიდული სახსრების დაფარვის ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულების მომენტში ბანკს არ აღმოაჩნდეს საკმარისი ლიკვიდური რესურსები.

- საბაზრო რისკი: საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ან ფულადი ნაკადების ცვალებადობის შედეგად, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების მერყეობით. იგი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთების რისკს და სხვა საფასო რისკებს. საბაზრო რისკი გენერირდება ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებით, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ბაზარზე არსებულ ზოგად და სპეციფიკურ ცვლილებებთან, ისე საბაზრო ფასებისა და სავალუტო კურსების მერყეობის დონის ცვლილებებთან.

- სავალუტო რისკი: ბანკი სრულად აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივებისა და ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებული შესაძლო დანაკარგების რისკს. სავალუტო რისკთან მიმართებაში ბანკის სტრატეგიაა არ ჩაერთოს სპეკულაციურ ოპერაციებში ღია სავალუტო პოზიციების მეშვეობით.

- საპროცენტო რისკი: ბანკისათვის დამახასიათებელია ტრადიციული საბანკო საქმიანობით განპირობებული საპროცენტო რისკი, რომელიც უკავშირდება აქტივებისა და ვალდებულებების შესაძლო ვადიანობის შეუსაბამობებით გამოწვეულ გადაფასების რისკებს.

- შესაბამისობის რისკი: წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად და ამის შედეგად შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი.

10. • ქირითაი რისკები და ბაუჩკვცლობაი

- მაკროეკონომიკური რისკი: წარმოადგენს რისკს, რომ ქვეყნის, რეგიონის ან გლობალურ დონეზე განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა (მაგალითად, მშპ-ს შემცირება, უმუშევრობის დონის ზრდა ა.შ.) შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე.
- ESG რისკები: ბანკს საკუთარი საქმიანობით შესაძლოა პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა ჰქონდეს საზოგადოებაზე და გარემოზე, სადაც ის ოპერირებს. შესაბამისად, აქვს სოციალური და გარემოსდაცვითი რისკები. კერძოდ, საკუთარი საქმიანობით გარემოზე ან საზოგადოებაზე გამოწვეული შესაძლო უარყოფითი ზეგავლენების რისკი. ასევე, დაკრედიტების პროცესში ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების საქმიანობით გარემოზე ან ადამიანებზე მიყენებული შესაძლო ზიანის რისკი.

A decorative flourish or scrollwork element, likely a page ornament. It features a large, stylized, light blue 'S' or 'Z' shape with a dark blue outline. The shape is intertwined with a thin, light blue vine that has several small, pointed leaves. The overall design is elegant and classic, typical of traditional bookbinding or stationery decorations.

11. კორპორატიული პოლიტიკა

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ წარმატებული ბიზნესი ვერ არსებობს საზოგადოებისა და გარემოს კეთილდღეობისადმი პასუხისმგებლობის გარეშე. სწორედ ამიტომ, ემბისი მუდმივად ისწრაფვის გააუმჯობესოს საკუთარი გავლენა და შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი, როგორც პოზიტიური ცვლილებების კატალიზატორმა.

სრულად ვაცნობიერებთ ჩვენს ზემოქმედებას ყველა დაინტერესებულ მხარეზე - საზოგადოებაზე, გარემოზე, თანამშრომლებსა და პარტნიორებზე - და მიზნად ვისახავთ ამ პროცესის სიდრმისეულ, პროფესიონალურ და შედეგებზე ორიენტირებულ მართვას. ჩვენი უპირველესი ამოცანაა მაქსიმალურად შევამციროთ ნებისმიერი პოტენციური უარყოფითი გავლენა და გავაძლიეროთ კომპანიის პოზიტიური წვლილი საზოგადოებასა და გარემოზე.



პრო ბონო საქმიანობა

პრო ბონო მარათონი

2024 წლის 17 აპრილს ემბისიმ „საქართველოს პრო ბონო ქსელის“ ორგანიზებულ ყოველწლიურ მარათონში მიიღო მონაწილეობა. პრო ბონო მარათონის ფარგლებში კომპანიამ კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრს გაუწია დახმარება. კერძოდ, ემბისის მარკეტინგის გუნდმა ცენტრის საკომუნიკაციო კამპანიასა და ვიზუალურ კონცეფციაზე იმუშავა - შემუშავდა სოციალური მედიისა და სხვა საკომუნიკაციო არხებისთვის განკუთვნილი ვიზუალური და ტექსტუალური მასალა, დამზადდა სხვადასხვა ტიპის საბეჭდი ფაილები.

მარათონში 9 კომპანიის 29 პრო ბონო კონსულტანტმა მიიღო მონაწილეობა და ჯამში 7 სოციალური საწარმოსთვის დაიგეგმა საკომუნიკაციო კამპანია.

"ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია ბიზნეს კომპანიების მხარდაჭერა და მათი გამოცდილების გაზიარება. კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრი მადლობას უხდის ემბისის, რომელმაც პრო ბონო მარათონის ფარგლებში, ორგანიზაციის სოციალური მედიის განვითარების მიმართულებით იმუშავა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ემბისის გუნდის მხარდაჭერა და მათი პროფესიული აზრის მოსმენა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, თუ როგორ უნდა მივიტანოთ საზოგადოებამდე ინფორმაცია სწორად და როგორ მოვიცვათ ფართო აუდიტორია."



კახეთის სამხარეო
განვითარების
ცენტრი



11. კორპორაციული პოზიციონირება

პრო ბონო ჩემპიონი

ემბისის გრაფიკული დიზაინერი, მარიამ პაპუაშვილი, საქართველოს პრო ბონო ქსელისა და საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის კონკურსის - "პრო ბონო ჩემპიონი 2023" - ჯილდოს მფლობელი გახდა!

2023 წლის პრო ბონო ჩემპიონის გამოვლენა პრო ბონო საქმიანობისთვის დათმობილი დროისა და ამ მიმართულებით შესრულებული პროექტების რაოდენობის მიხედვით მოხდა.

გასული წლის განმავლობაში, მარიამ პაპუაშვილმა საზოგადოების სასიკეთოდ დაახლოებით 100 საათის პროფესიული რესურსი დახარჯა.

ემბისი 2018 წლიდან გახლავთ პრო ბონო ქსელი საქართველოს წევრი და ამ ხნის განმავლობაში, კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში, აქტიურადაა ჩართული სოციალური საწარმოებისა და სხვადასხვა სათემო ორგანიზაციების მხარდაჭერის საქმეში.

"საქართველოს პრო ბონო ქსელი" წარმოადგენს საქართველოში მოქმედი იმ ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების გაერთიანებას, რომელთა მიზანია საკუთარი გამოცდილების და პროფესიული რესურსების გამოყენება საზოგადოების სასიკეთოდ.



11. კორპორატიული პერფორმანსი

ფინანსური განათლების მხარდაჭერა

ფულის გლობალური კვირეული - ფინანსური გაკვეთილები

ფულის გლობალური კვირეულის ფარგლებში, ემბისის დესპანები ეწვივნენ საქართველოს მასშტაბით 8 სხვადასხვა სკოლას და 250-მდე მოსწავლეს ფულის დაზოგვის შესახებ საინტერესო და ინფორმაციული გაკვეთილები ჩაუტარეს.

სახალისო აქტივობას ესწრებოდნენ ზუგდიდის, გორის, ლაგოდეხის, თელავისა და თბილისის III-X კლასის მოსწავლეები. გაკვეთილების ძირითადი თემა კი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფულის ისტორია, ფინანსური დანაზოგების უსაფრთხოება, გონივრული ხარჯვის პრინციპები და სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური საკითხები.

ფულის გლობალურ კვირეულს ყოველწლიურად 170-ზე მეტ ქვეყანასთან ერთად საქართველოც აღნიშნავს, აქტივობა საქართველოს ეროვნული ბანკის და საგანმანათლებლო პლატფორმა „ფინედუს“ ინიციატივით ხორციელდება. გლობალური კვირეულის მიზანია ახალგაზრდებსა და ბავშვებში ფულის დაზოგვის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

კონკურსები

ემბისი საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური განათლების პორტალ „ფინედუს“ ინიციატივით გამართული ვიდეოკონკურსის - "ახალგაზრდები ფინანსებსა და მეწარმეობაზე" - მხარდაჭერი გახლდათ.

კონკურსი ახალგაზრდობის დღისადმი იყო მიძღვნილი და მიზნად ისახავდა, აღნიშნული სეგმენტის მოქალაქეებში, ფინანსური განათლებისა და სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობას.

2024 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ეროვნულ ბანკში, ვიდეოკონკურსის ფინალური ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაზე დასახელდნენ გამარჯვებულები, რომელთაგანაც 3 ჟიურის, ხოლო ერთი კი მომხმარებლების რჩეული გახლდათ.

კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში, სხვა საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებთან ერთად, ემბისის თანამშრომლებიც შედიოდნენ.

ემბისიმ კონკურსის ორ გამარჯვებულს: III ადგილოსან ვაჩე ჩარკვიანსა და მომხმარებლების რჩეულს - თამარ ყალაბეგაშვილს, 500-500 ლარის ოდენით ფულადი ჯილდო გადასცა.



11. კორპორატიული პოზიციონირება

სოციალური საწარმოების მხარდაჭერა

ემბისი განაგრძობს სოციალური საწარმოების მხარდაჭერას. კომპანია ყოველწლიურად ფინანსური და არაფინანსური რესურსებით მხარს უჭერს ფონდ „აქციოს“, რომლის მისიაა სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის გზით სოციალური ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში.

ფონდის მიზანია სოციალური საწარმოების გაძლიერება როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და გარემოსდაცვითი გავლენის თვალსაზრისით.

2024 წელს ემბისის თანამონაწილეობით ფონდმა მხარი დაუჭირა შემდეგ სოციალურ საწარმოებს და წვლილი შეიტანა მათ გაძლიერებაში:

სოციალური საწარმო „დედიკო“


„დედიკო“ მართობს დედებს და მშობლებზე მზრუნველ ქალებს ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას სთავაზობს დასაქმების, ახალი პროფესიის დაუფლებისა და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის გზით.

„დედიკოს“ შექმნის იდეა Covid-19 პანდემიის დაწყების შემდეგ გაჩნდა, როდესაც შექმნილი მდგომარეობით გამოწვეული კრიზისის საზოგადოების თითქმის ყველა ფენას შეეხო - განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი ჯგუფებს. აღნიშნულმა კრიზისმა გამორჩეული გავლენა იქონია მართობელ დედებზე, რადგან მათ პრობლემებთან გამკლავება მეტწილად მარტო უწევდათ. „დედიკომ“ მართობელ დედებს ახალი პროფესიის შეძენასა და დასაქმებასთან ერთად, საჭიროებებზე მორგებული სამუშაო გრაფიკი და გარემო შესთავაზა. 2024 წელს სოციალურმა საწარმომ გააფართოვა მიზნობრივი ჯგუფი - დაიწყო შუა ხნის ქალებზე ზრუნვა, რომლებიც ასაკოვან ან შრომისუნარო მშობლებს უვლიან.

„აქციოს“ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „დედიკოს“ დაგეგმილი აქვს როგორც ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება, ისე სოციალური შედეგების გაზრდა. სოციალური საწარმო გეგმავს ახალი დანადგარების შეძენას, პროდუქციის ახალი ხაზების განვითარებასა და ონლაინ მაღაზიის შექმნას.

„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად „დედიკომ“ მიიღო ორი სახის ფინანსური მხარდაჭერა:

- გრანტი 31,600 ევროს ოდენობით;
- 0%-იანი სესხი 10,000 ევროს ოდენობით.



11. კორპორატიული პოზიციონირება

სოციალური საწარმო „ჩემპი“


ვაშლის ჩიფსების წარმოების ინოვაციური იდეა საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში 3 მეგობარს გაუჩნდა. მათ საკუთარი ხელით ააწყვეს მცირე საშრობი დანადგარი და ინოვაციური მეთოდით შექმნეს პირველი პროდუქტის პროტოტიპი: ჯანსაღი „სნეკი“ - ვაშლის ჩიფსი. ამის შემდეგ „ჩემპის“ პროდუქტმა ტესტირებისა და ექსპერიმენტირების მნიშვნელოვანი ფაზა გაიარა, 2016 წელს კი საწარმო ოფიციალურად დაფუძნდა.

„ჩემპის“ მისიაა გორის რაიონის საზღვრისპირა (საოკუპაციო ხაზთან მდებარე) სოფლების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და უნარჩენო წარმოების განვითარება ინოვაციური ჯანსაღი „სნეკების“ წარმოების გზით. ერთი მხრივ, „ჩემპი“ ხელს უწყობს ქალების დასაქმებას საწარმოში, ხოლო, მეორე მხრივ, ფერმერული მეურნეობების განვითარებას ადგილობრივი პროდუქციის შესყიდვის გზით. დამატებით, „ჩემპი“ აქტიურად მუშაობს უნარჩენო წარმოების განვითარების მიმართულებით.

„აქციოს“ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „ჩემპის“ დაგეგმილი აქვს როგორც ეკონომიკური საქმიანობის გაფართოება, ისე სოციალური შედეგების გაზრდა. სოციალური საწარმო გეგმავს ახალი საშრობი დანადგარების შეძენას, რაც უზრუნველყოფს წარმადობის გაზრდას, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე გაყიდვების გაფართოებას.

„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად „ჩემპი“ მიიღებს ორი სახის ფინანსურ მხარდაჭერას:

- გრანტს 40,000 ევროს ოდენობით;
- 0%-იან სესხს 10,000 ევროს ოდენობით.



11. კორპორატიული პოლიტიკა

სოციალური საწარმო „ტენე“

„ტენეს“ მისია გარემოს პლასტიკით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაა. „ტენე“ პირველი ქართული USB სატენის ეკომეგობრული წარმოებაა, რომელიც წარმოების პროცესში ერთჯერადი მოხმარების მეორად პლასტიკს იყენებს. USB კაბელების დამზადებასთან ერთად „ტენე“ მუდმივად მუშაობს გარემოს დაცვის ხელშეწყობი ინიციატივების განვითარებაზე, როგორცაა მაგალითად, ქიქების კოლექტორი, ბოთლის „უკუენდინგ“ აპარატი და ა.შ.

„აქციოს“ ინიციატივით „ტენე“ შეძლებს საწარმოში არსებული ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებასა და გაფართოებას. შედეგად, გაიზრდება საწარმოს ჩამბარებული და გამანაწილებელი პუნქტების რაოდენობა, ხოლო პლასტიკის ჩაბარების შესაძლებლობა თბილისთან ერთად გაჩნდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

„აქციოსთან“ თანამშრომლობის შედეგად „ტენე“ მიიღებს ორი სახის ფინანსურ მხარდაჭერას:

- გრანტს 40,000 ევროს ოდენობით
- 0%-იანი სესხს 9,990 ევროს ოდენობით



გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (COP29) მხარეთა 29-ე კონფერენცია


2024 წლის 14 ნოემბერს ემბისის რისკების დირექტორმა - ნინო დევდარიანმა მონაწილეობა მიიღო გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (COP29) მხარეთა 29-ე კონფერენციაზე გამართულ პანელურ დისკუსიაში, თემაზე: „მდგრადი დაფინანსების ტენდენციები - აღმოსავლეთ ევროპული პერსპექტივა“.

სესიის ფარგლებში განხილულ იქნა მდგრადი დაფინანსების მზარდი როლი აღმოსავლეთ ევროპაში - აღნიშნული მიმართულებით ფინანსური სექტორის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა და სამომავლო გეგმები.

პანელური დისკუსიის მასპინძელი გახლდათ გაეროს გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი - თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის ქსელებთან პარტნიორობით.



რჯანი ბუბენი



12. რვენი ბუნეი

თანამშრომლების გუნდი ემბისის ყველაზე ღირებული აქტივია. სწორედ ადამიანები ქმნიან იმ კულტურას, ფასეულობებსა და შედეგებს, რომელზეც კომპანია დგას და რომლის განვითარებაზეც ყოველდღიურად აქტიურად ვზრუნავთ.

გუნდის მრავალფეროვნება, თითოეული წევრის კომპეტენცია და ერთგულება არის ის მყარი საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ბიზნესის მდგრადობასა და ინოვაციურ განვითარებას.

2024 წლის განმავლობაში განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, თანაბარ შესაძლებლობებზე დაფუძნებულ გამჭვირვალე საკადრო პოლიტიკასა და ჯანსაღი, ინკლუზიური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას. სწორედ ჩვენი გუნდის შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი იყო ყველა მიღწეული შედეგის საფუძველი.

დღეს მიკრობანკი ემბისი მთელი საქართველოს მასშტაბით ოპერირებს და მომხმარებლებს 17 სერვის ცენტრის მეშვეობით ემსახურება. კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა 255-ს შეადგენს, რომელთაგან უმრავლესობა - 68% ქალია. ამასთან, მენეჯერულ პოზიციებზე ქალების წილი 52%-ია, ხოლო უმაღლესი მენეჯმენტის დონეზე ეს მაჩვენებელი 50%-ს აღწევს.

ყველა თანამშრომელი სქესის მიხედვით

სულ	მამრობითი	მდედრობითი
255	80	175

მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლები სქესის მიხედვით


სულ	მამრობითი	მდედრობითი
44	21	23

დირექტორატის წევრები სქესის მიხედვით

სულ	მამრობითი	მდედრობითი
4	2	2

ყველა თანამშრომელი ასაკის მიხედვით

საშუალო ასაკი: 32 წელი



12. რვა ნი ბუნეი

ადამიანური კაპიტალის მართვა

ემბისიში ადამიანური კაპიტალის მართვა წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტს, რომელიც ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ პოლიტიკებს, რეგულაციებსა და პროფესიულ სტანდარტებს.

ამ ფუნქციის ეფექტიან განხორციელებაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვისა და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება, რომელიც საოპერაციო დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია. თავის მხრივ, საოპერაციო დირექტორი ანგარიშვალდებულია კომპანიის გენერალური დირექტორის წინაშე. ეს ვერტიკალური სტრუქტურა უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიულ ინტეგრაციას უმაღლეს მენეჯმენტთან, რაც გადამწყვეტია ორგანიზაციული განვითარების, თანამშრომელთა კეთილდღეობისა და სტრატეგიული მიზნების წარმატებით მიღწევისთვის.


ადამიანური კაპიტალის მართვის კომპლექსური პროცესი მოიცავს ტალანტების მოზიდვის, შენარჩუნების, განვითარებისა და მოტივაციის ეფექტიან მართვას. კომპანიის შიდა მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც აერთიანებს პოლიტიკებსა და ინსტრუქციებს, დაფუძნებულია თანასწორობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის ფუნდამენტურ პრინციპებზე და მოიაზრებს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- თანამშრომელთა შერჩევისა და აყვანის პროცედურები;
- დასვენებისა და შვებულებით სარგებლობის წესები;
- ანაზღაურების პოლიტიკა და საბონუსე სისტემები;
- პროფესიული განვითარების შესაძლებლობები და პროგრამები;
- შრომითი ურთიერთობების, ქცევის სტანდარტებისა და ეთიკის პოლიტიკები;
- შიდა კომუნიკაციის და უკუკავშირის მექანიზმები;
- თანასწორობის, დივერსიფიკაციისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა.

მიმდინარე წელს კომპანიამ განახორციელა ადამიანური კაპიტალის მართვის პროგრამის მნიშვნელოვანი განახლება და დანერგა ინოვაციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა ელექტრონული პროფილების, შვებულებების, დეკრეტული შვებულებების, მივლინებების, სახელფასო უწყისებისა და შიდა კომუნიკაციის ეფექტიან და სრულყოფილ მართვას.



12. რვენი ბუნენ



კომპანია მუდმივად აახლებს და ავითარებს ადამიანური კაპიტალის მართვის ჩარჩოებს საერთაშორისო სტანდარტებთან, რეგულატორის მოთხოვნებთან და შრომით კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. ამის მიზანია, ერთი მხრივ, თანამშრომლების კმაყოფილების და ჩართულობის გაზრდა, ხოლო მეორე მხრივ - ეფექტიანობის, პროდუქტიულობისა და კორპორაციული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა.

ტალანტების მოზიდვა

კომპანიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ნიჭიერი ტალანტების მოზიდვა და შენარჩუნება. ჩვენ ვეძებთ და ვაფასებთ ინდივიდებს განსხვავებული ხედვებითა და მრავალფეროვანი კარიერული გამოცდილებით, რადგან გვჯერა, რომ სწორედ მრავალფეროვნება განაპირობებს ინოვაციურ და შედეგზე ორიენტირებულ ორგანიზაციულ კულტურას.

2024 წლის განმავლობაში ემბისიმ გააფართოვა გუნდი და ჯამში 114 ახალი თანამშრომელი მიიღო. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობდა შიდა კარიერული წინსვლისა და მობილობის ხელშეწყობა, რის შედეგადაც წლის განმავლობაში 30-მდე თანამშრომელი დაწინაურდა უფრო მაღალ პოზიციებზე.

ჩვენი მიზანია განვითარებაზე ორიენტირებული ტალანტების მოზიდვა და ისეთი სამუშაო გარემოს შექმნა, სადაც თითოეული თანამშრომელი თავს იგრძნობს უსაფრთხოდ, მიღებული და დაფასებულად.

ტალანტების მოზიდვის პროცესში ემბისი უპირობოდ იცავს თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს, რაც უზრუნველყოფს პერჩევის სამართლიან, ობიექტურ და ინკლუზიურ პროცესს ყველა კანდიდატისთვის. პერჩევა ეფუძნება მხოლოდ განათლების, პროფესიული კვალიფიკაციისა და კონკრეტული პოზიციის მოთხოვნებთან შესაბამისობის კრიტერიუმებს.

შიდა ტალანტის განვითარება ჩვენთვის ასევე უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. კერძოდ, ვაკანტური პოზიციების შევსებისას უპირატესობა ენიჭებათ არსებულ თანამშრომლებს, განსაკუთრებით მენეჯერულ პოზიციებზე.

ამასთან, კომპანია აქტიურად არის ორიენტირებული გარე ტალანტების მოზიდვაზე. აღნიშნული მიმართულებით ვთანამშრომლობთ სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და პროფესიულ სასწავლებლებთან, რეგულარულად ვმონაწილეობთ დასაქმების ფორუმებში და აქტიურად ვახორციელებთ მიზნობრივ მარკეტინგულ კამპანიებს.

12. რვა ნი ბუნეი


2024 წელს აყვანილი ყველა თანამშრომელი სქესის მიხედვით

სულ	მამრობითი	მდელობითი
114	28	86
100%	25%	75%

2024 წელს აყვანილი ყველა თანამშრომელი სათავო/სერვის ცენტრის მიხედვით

სულ	სერვის ცენტრი	სათავო
114	93	21
100%	82%	18%

2024 წელს აყვანილი ყველა თანამშრომელი ასაკის მიხედვით



ადამიანური კაპიტალის სწავლება და განვითარება

ემბისიში ტალანტების განვითარება უწყვეტი და სისტემური პროცესია. ფრონტ-ოფისის თანამშრომლებისთვის დანერგილია სტაჟირების პროგრამა, რომელიც დამწყებ სპეციალისტებს უზრუნველყოფს საჭირო თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით. პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კი საუკეთესო კანდიდატებს ეძლევათ დასაქმების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, ფრონტ და ბექ-ოფისის თანამშრომლებისთვის რეგულარულად ტარდება შიდა ტრენინგები, რომლებიც მოიცავს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა საკრედიტო პროდუქტების პროცესინგი, გაყიდვების ეფექტიანი სკრიპტები, საკრედიტო და საოპერაციო რისკების მართვა, გაყიდვების თანამედროვე ტექნიკები, მომხმარებლისთვის გამორჩეული გამოცდილების შექმნის სტრატეგიები და სხვა.

გარდა შიდა ტრენინგებისა, ემბისის გუნდის წევრებს აქვთ საშუალება მიიღონ დაფინანსება გარე ტრენინგებზე.

12. რჯანი ბუნდი

თანამშრომლის გამოცდილება

კორპორაციული კულტურის გაძლიერების მიზნით, კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი რეგულარულად ინარჩუნებენ აქტიურ კომუნიკაციას ყველა რგოლის თანამშრომელთან. ეს ურთიერთობა მოიცავს როგორც ონლაინ ფორმატს, ასევე პირისპირ შეხვედრებსა და გუნდურ შეკრებებს („თიმბილდინგებს“).

გუნდის წევრების განწყობების მონიტორინგისა და ანალიზის მიზნით, კომპანია რეგულარულად ატარებს სხვადასხვა კვლევას. 2024 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, ჩვენი თანამშრომლების ლოიალობის ინდექსმა (eNPS) 39%-ს მიაღწია, რაც მაღალი კმაყოფილებისა და ლოიალობის მაჩვენებელია და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩვენი ძალისხმევის ეფექტიანობას ჯანსაღი და პროდუქტიული სამუშაო გარემოს შექმნის მიმართულებით.

ჭადრაკის ჩემპიონატი

ეზმისი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გუნდური სულისკვეთების გაძლიერებასა და თანამშრომლებში ინტელექტუალური დასვენების კულტურის დამკვიდრებას. ამ მიზნით, 2024 წელს კომპანიაში ჩატარდა შიდა ჭადრაკის ჩემპიონატი. ტურნირის გამარჯვებული კომპანიის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.



ჩოგბურთის ჩემპიონატი

კომპანიაში გაიმართა შიდა ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში, რომლის ფარგლებში თანამშრომლები ოლიმპიური სისტემით შეეჯიბრნენ ერთმანეთს. შეჯიბრების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები - პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული მონაწილეები სერტიფიკატებითა და სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ.



12. რვა ნი ბუნეი

ბავშვთა დაცვის დღე ემზისიში

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად კომპანიამ ორგანიზება გაუწია გამორჩეულად თბილ და სახალისო ღონისძიებას. ემზისი მწვანე გარემოში უმასპინძლა თანამშრომლებსა და მათ შვილებს, სადაც პატარა სტუმრებმა მშობლებთან ერთად სასიამოვნოდ გაატარეს დრო - ითამაშეს, იცეკვეს, გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები და მიიღეს ბევრი დადებითი ემოცია.



MBC Talk

წარმოდგენს სალექციო შეხვედრების სერიას, რომლის მიზანია თანამშრომლებისთვის საინტერესო პიროვნებებისა და სხვადასხვა პროფესიული სფეროს წარმომადგენლების მოწვევა. შეხვედრები გამოირჩევა არაფორმალური, თბილი და დინამიური ატმოსფეროთი, რაც ხელს უწყობს მსმენელთა აქტიურ ჩართულობას, სპიკერთან დიალოგს, ცოდნის გაზიარებასა და სასიამოვნო განტვირთვას. MBC Talk ქმნის უნიკალურ სივრცეს როგორც პროფესიული განვითარებისთვის, ისე ინსპირაციის მიღებისა და ახალი იდეების გაცვლისთვის.

ეს ინიციატივა სრულად შეესაბამება კომპანიის ფასეულობებს, რომლებიც მიმართულია თანამშრომელთა უწყვეტი ზრდისა და ძლიერი კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებისკენ.



12. რვა ნი ბუნი

თიმბილდინგი

ემბისიში თიმბილდინგის აქტივობები მიზნად ისახავს თანამშრომლებს შორის მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ურთიერთნდობის გაღრმავებასა და ერთიანი გუნდური სულისკვეთების განვითარებას.


ღონისძიებები სხვადასხვა ფორმატით ხორციელდება – როგორც გასვლითი, ისე შიდა შეხვედრების სახით. თითოეული ღონისძიება აერთიანებს თანამშრომლებს საერთო მიზნის ირგვლივ და ქმნის გარემოს, სადაც იზრდება მოტივაცია, ჩართულობა და თანამშრომლობის კულტურა.



2025 წლის ხედვა

მომავალი წლის სტრატეგიული პრიორიტეტები მოიცავს ლიდერობის განვითარების პროგრამების გაძლიერებას, შესრულების შეფასების სისტემის ოპტიმიზაციას, თანამშრომელთა პროფესიული ზრდის შესაძლებლობების გაფართოებასა და სამუშაო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამშრომელთა ჩართულობის გაღრმავების ინიციატივებს, მათ შორის შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი იდეების ინტეგრირებას.

ჩვენ ამაზებენაბლები



13. ჩვენი მომხმარებლები


ემბისთვის მომხმარებელი უმნიშვნელოვანესი აქტივი და კომპანიის წარმატების მთავარი ქვაკუთხედი. ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ თითოეული მომხმარებელი უნიკალურია თავისი ინდივიდუალური საჭიროებებითა და ფინანსური მიზნებით და აქედან გამომდინარე, მუდმივად ვზრუნავთ პერსონალიზებული გადაწყვეტილებების შემუშავებასა და დანერგვაზე, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს მათ ფინანსურ კეთილდღეობასა და გრძელვადიან, ურთიერთნდობაზე დაფუძნებულ პარტნიორობას.

გასული წლის განმავლობაში, არა მხოლოდ ვცდილობდით, შეგვეთავაზებინა მომხმარებლებისთვის უმაღლესი ხარისხის ფინანსური პროდუქტები და მომსახურება, არამედ აქტიურად ვიღებდით უკუკავშირს - ვსწავლობდით მათგან და ვცდილობდით, ყოველი შეხება კომპანიასთან ყოფილიყო კომფორტული, მარტივი და სასიამოვნო.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან მიღწევად მიგვაჩნია 2024 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგები, რომლებიც მომხმარებელთა მაღალ შეფასებას ადასტურებს. Net Promoter Score-მა (NPS) შეადგინა 86%, ხოლო კმაყოფილების ინდექსმა 85%, რაც ემბისისათვის უმნიშვნელოვანესი წარმატებაა და ჩვენი მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგიის ეფექტურობას წარმოაჩენს.


მსესხებელთა პორტფელი და რეგიონული ხელმისაწვდომობა

2024 წლის ბოლოსთვის ემბისის აქტიური მსესხებლების რაოდენობამ 9,300 შეადგინა. კომპანიის მსესხებელთა საშუალო ასაკი 42 წელია, ხოლო ასაკობრივი სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:



ემბისის სტრატეგიული მიზანია დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოს მასშტაბით. ამ მიზნის მისაღწევად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ რეგიონულ წარმომადგენლობებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სასესხო პროდუქტების მომხმარებლების 70%-ს მომსახურებას რეგიონული სერვის ცენტრები უწევენ, რაც ქსელის ეფექტურ და ქვეყნის მასშტაბით ხელმისაწვდომ ფუნქციონირებაზე მიუთითებს.

საკრედიტო პროდუქტების მომხმარებლების რეგიონული განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



13. რვანი მომხმარებელი

სოციალური პასუხისმგებლობა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ემბისისთვის, როგორც სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიისთვის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიმართულებით, ბიზნეს დაკრედიტების ფარგლებში, კომპანია მიზანმიმართულად ცდილობს ქალებისთვის განსაკუთრებული პირობების შექმნას. საამაყოა ის ფაქტი, რომ 2024 წლის ბიზნეს-აგრო პორტფელში ქალთა წილმა 42%-ს მიაღწია, რაც ჩვენი ძალისხმევის მნიშვნელოვანი შედეგია.

აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-აგრო მიმართულებით ემბისის მიერ 2024 წელს გაცემულმა დაფინანსებამ 70 მილიონ ლარს გადააჭარბა. ფინანსური მხარდაჭერა 4,000-ზე მეტმა ბიზნესმა მიიღო, რითაც კომპანიამ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ქართული ბიზნესის მხარდაჭერა და სტრატეგიული პარტნიორობა

ემბისი ერთგულია ტრადიციის, ხელი შეუწყოს ქართული ბიზნესის განვითარებას საკუთარ საკომუნიკაციო არხებში სარეკლამო აქტივობების განხორციელებით. აღნიშნული ინიციატივა მოიცავს მომხმარებლების საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ბლოგების მომზადებას სოციალური მედიის მიმართულებით.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ მხარი დაუჭირა არაერთ მომხმარებელს სოციალურ მედიაში გაშუქების გზით. გარდა ამისა, ჩვენ გავმართეთ 2 საგანმანათლებლო ტრენინგი საგადასახადო საკითხებსა და დაფინანსების მოპოვების გზების თემატიკაზე, რითაც ხელი შევუწყვეთ ბიზნესის ცნობიერების ამაღლებასა და განვითარებას.



13. რვა ნიშნის მოხმარება

საჩივრების და პრეტენზიების მართვა

ემბისიში საჩივრებისა და პრეტენზიების ეფექტურად მართვის მიზნით, შემუშავებულია მომხმარებლების პრეტენზიების მართვის პროცედურა. საოპერაციო რისკების ჯგუფი განიხილავს და შეისწავლის დაფიქსირებულ საჩივარს, მათ შორის, ეთიკის კოდექსის დარღვევასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს. აღნიშნული პროცესი უზრუნველყოფს კლიენტის საჩივრის ყოველმხრივ შესწავლას, რათა შემუშავდეს პრობლემის აღმოფხვრისა და შემდგომი პრევენციის ეფექტიანი გზები.

ამასთან, მიღებული პრეტენზიების სისტემატური ანალიზი ემბისის საშუალებას აძლევს დროულად გამოავლინოს არსებული ან პოტენციური სისტემური ხარვეზები და ოპერატიულად მიიღოს შესაბამისი მაკორექტირებელი ზომები.

პერსონალური მონაცემების დაცვა

ემბისი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვას და კონფიდენციალურობას. კომპანია აცნობიერებს პასუხისმგებლობას თითოეული მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ემბისი მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების (მონაცემთა სუბიექტი) პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების საფუძვლების, სახელმძღვანელო პრინციპებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ რეგულატორულ მოთხოვნებთან მუდმივ შესაბამისობას.

მონაცემთა კანონიერი დამუშავების მიზნებისთვის, პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება მიკრობანკის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის“ პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც, თავის მხრივ, შედგენილია მიკრობანკის შიდა სამართლებრივი აქტების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და საერთაშორისოდ აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე.

პერსონალური მონაცემების კანონიერ დამუშავების და მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზებისთვის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მიკრობანკის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, უზრუნველყოფს მიკრობანკის მხარდაჭერას პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის და არა მხოლოდ, პოლიტიკა/პროცედურების საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, რეკომენდაციების გაცემას, მონაცემთა სუბიექტებთან კომუნიკაციის დამყარებას და ა.შ.

ემბისისთვის მომხმარებელთა მხარდაჭერა არის მთავარი მოტივატორი და წარმატების გარანტი. კომპანია აფასებს ერთგულებას და მომავალშიც გეგმავს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას, რათა გავამართლოთ მომხმარებლების მოლოდინები და შევქმნათ კიდევ უფრო მეტი ღირებულება მათთვის.

იწვევთ ჩვენს გუნდში შენი სპეციალობით



14. ინფორმაციული ტექნოლოგიები



2024 წელს ემბისიმ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ოპერაციული პროცესების გაციფრულებისა და კიბერუსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით. გატარებული ინიციატივები მიზნად ისახავდა მონაცემთა უსაფრთხოების მაქსიმიზაციას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და ოპტიმიზაციას, რაც საფუძველი გახდა ოპერაციული ეფექტიანობის თვისობრივად ახალ დონეზე გადასვლისთვის.

ამასთან, გაძლიერდა და გაიზარდა ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდი როგორც ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური მხარდაჭერის, ასევე პროექტების მართვის, ბიზნეს ანალიზისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენს ემბისის ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ პრიორიტეტს მიმდინარე ტრანსფორმაციის ეტაპზე. კომპანიას გაცნობიერებული აქვს აღნიშნული საჭიროებები და გეგმავს მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელებას IT ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით, კერძოდ პროგრამული უზრუნველყოფის განახლებისა და თანამედროვე სისტემებზე მიგრაციის, საოპერაციო პროცესების ციფრულ ფორმატში გადაყვანისა და ავტომატიზაციის, მონაცემთა დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით.

ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს ციფრული ტრანსფორმაციის გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება და ყველა საჭირო პროექტსა თუ პროცესზე შეთანხმება.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უსაფრთხოება

კომპანიის არსებული ქსელური და სასერვერო ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სტაბილურ, უსაფრთხო და მდგრად საოპერაციო გარემოს, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა როგორც შიდა ბიზნეს პროცესების შეუფერხებელი ფუნქციონირებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებისთვის.

2024 წლის მეორე ნახევარში ემბისიმ დაიწყო სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის მასშტაბური მოდერნიზაცია და გაძლიერება. ამ მიზნით განხორციელდა ტექნიკური უზრუნველყოფის მატერიალური საშუალებების და შესაბამისი ლიცენზიების შესყიდვა. პროექტი დასრულდება 2025 წლის პირველ ნახევარში და წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტექნოლოგიურ ინვესტიციას ბოლო წლების განმავლობაში.

IT ინფრასტრუქტურის სრული განახლება ქმნის მყარ საფუძველს ციფრული ტრანსფორმაციის შემდგომი ინიციატივების წარმატებით განხორციელებისა და კომპანიის გრძელვადიანი ტექნოლოგიური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

14. ინფორმაციული ტექნოლოგიები

კიბერუსაფრთხოების გაძლიერება

2025 წელს კომპანიის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლება და კიბერუსაფრთხოების სისტემების გაძლიერება წარმოადგენს. ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია ინფორმაციული უსაფრთხოების გუნდის გაძლიერება. ტექნოლოგიური და ინფორმაციული უსაფრთხოების გასაძლიერებლად განხორციელდება დამატებითი თანამედროვე სისტემებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვა და ინსტალაცია. კომპანიის IT ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური მხარდაჭერის განყოფილება სრულად უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესების შეუფერხებელ და ეფექტურ განხორციელებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვა

2024 წელს, მიკრობანკად ტრანსფორმაციის სტრატეგიული პროცესის ფარგლებში წარმატებით განხორციელდა პროგრამული მიგრაციის მასშტაბური პროექტი. ექვსთვიანი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პროგრამული უზრუნველყოფისა და მონაცემების ინტეგრაცია საბანკო სისტემაში. მარეგულირებელი მოთხოვნების სრულად და დროულად შესრულების მიზნით, დაინერგა შესაბამისი მოდულები (ALTA SOFTWARE).

ამასთან, დაინერგა თანამედროვე HR მართვის პროგრამა (SELF HR) - ციფრული პლატფორმა და მობილური აპლიკაცია. აღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს მონაცემთა ცენტრალიზაციას, ადამიანური რესურსების მართვის პროცესების ოპტიმიზაციასა და თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდას, რაც ხელს უწყობს ფინანსური და ადამიანური რესურსების ეფექტურ მართვას, სტრატეგიული გადაწყვეტილებების დროულად მიღებასა და ორგანიზაციული ეფექტიანობის ზრდას.

2024 წელს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქოლ-ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის (CALLApp) განახლება, რაც მომხმარებლებისთვის სწრაფი, ხარისხიანი და კომფორტული მომსახურების გაწევის წინაპირობაა. ამჟამად, სატელეფონო და დისტანციური მომსახურების ცენტრი სრულად ფუნქციონირებს გამართული, ეფექტური და თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის ბაზაზე.

ამასთან, 2024 წელს დაინერგა სქორინგის ავტომატიზებული სისტემა, რომლის ძირითადი მიზანია, ერთი მხრივ, წინასწარ განსაზღვრული წესებისა და ალგორითმების საფუძველზე სესხის დამტკიცების პირველადი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ავტომატიზაცია, ხოლო მეორეს მხრივ, კომპანიის თანამშრომლების მიერ ხელით შესრულებული პროცედურების ავტომატიზაცია, რაც გაზრდის ოპერაციულ ეფექტიანობას.

მიუხედავად მიკრობანკად ტრანსფორმაციის კომპლექსური პროცესისა და არსებული საოპერაციო გამოწვევებისა, ემბისი 2025 წელს გეგმავს მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციისა და ავტომატიზაციის მიმართულებით. აღნიშნული ცვლილებები შეეხება როგორც მომხმარებელზე ორიენტირებულ ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს, ასევე შიდა სერვისებს.

2025 წლის ოპტიმიზაციის ინიციატივების უმეტესობა დაკავშირებულია ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დანერგვასთან, რომელთა წარმატებული იმპლემენტაცია მიზნად ისახავს ემბისიში მომხმარებლის გამოცდილების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გუნდის შესაბამისი კადრებით დაკომპლექტების შემდგომ კომპანია გეგმავს 2025 წლის ბოლოდან დაიწყოს აქტიური მუშაობა ხელოვნური ინტელექტისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების დანერგვის შესაძლებლობების შესწავლაზე.

A decorative flourish or scrollwork element, rendered in a light blue/teal color. It features a central, thick, curved line that forms a large, open loop. This central line is surrounded by several thinner, more delicate lines that branch out and curve around the main loop, creating a complex, symmetrical design. The overall shape is reminiscent of a stylized letter 'S' or a calligraphic flourish.

15. კორპორაციული მართვა

ემბისის, როგორც მიკრობანკის, კორპორაციული მართვის სისტემა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, პრინციპებსა და საუკეთესო პრაქტიკას. კომპანიის ეფექტიანი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია მკაფიოდ განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურით, რომელიც მოიცავს:

- პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილებას;
- ანგარიშვალდებულებისა და უფლებამოსილების სწორ დელეგირებას;
- ჯანსაღ ადმინისტრირებას;
- რისკების ეფექტიან იდენტიფიცირებას, მართვასა და ანგარიშგებას;
- ადეკვატურ შიდა კონტროლს;
- ფინანსურ დაგეგმვასა და ანგარიშგებას;
- შესაბამის პოლიტიკა-პროცედურებს.

მიკრობანკის მართვის სტაბილურობისა და გამართული ფუნქციონირებისთვის მკაცრად არის გამიჯნული უფლებამოსილებები საზედამხედველო, აღმასრულებელ და მკონტროლებელ სტრუქტურებს შორის. ამ ორგანოების ფუნქციები სრულად უზრუნველყოფს კომპანიის მართვას და გამორიცხავს დუბლირებას.

მიკრობანკის მართვის ძირითადი ორგანოები:

- აქციონერთა საერთო კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორატი.

აქციონერთა საერთო კრება და სამეთვალყურეო საბჭო

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ემბისის უმაღლეს მმართველობით ორგანოს. აქციონერთა უფლებები განსაზღვრულია კომპანიის წესდებით და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მიკრობანკის საქმიანობას ზედამხედველობს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ემბისის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე, ხელმძღვანელობს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია აქციონერთა საერთო კრების წინაშე.

მიკრობანკის სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია 3 წევრისგან, რომელთა შორის ორი დამოუკიდებელი წევრია და ისინი ხელმძღვანელობენ აუდიტისა და რისკების კომიტეტებს. სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის 33%-ს (ერთი წევრი) ქალი წარმოადგენს.

სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი პასუხისმგებლობაა აქციონერთა უფლებებისა და მათი კაპიტალის დაცვა, ასევე მიკრობანკის საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა. ამასთან, საბჭოს ფუნქციებში შედის ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცება, აღმასრულებელ ორგანოებზე ზედამხედველობის განხორციელება და ჯანსაღი კორპორაციული გარემოს დამყარებასა და შენარჩუნებაში მათი როლის მუდმივი შეფასება.

საბჭო ასევე უზრუნველყოფს ეფექტიანი შიდა კონტროლისა და რისკების მართვისთვის სათანადო პირობების არსებობას, ახორციელებს მიკრობანკის ანაზღაურების სისტემის მონიტორინგს, ამტკიცებს განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, რისკ-აპეტიტს, ბიუჯეტს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

სამეთვალყურეო საბჭოს ქვეშ ფუნქციონირებს აუდიტისა და რისკების კომიტეტები.

აუდიტის კომიტეტი: აუდიტის კომიტეტის მთავარი მიზანია ორგანიზაციის გამართული, გამჭვირვალე და ეფექტიანი შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და ანგარიშგების სისტემების უზრუნველყოფა, რაც ემსახურება დაინტერესებული მხარეების ნდობის გაძლიერებას და ზედამხედველობით ფუნქციებში სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტიან მხარდაჭერას.

კომიტეტი ახორციელებს შიდა კონტროლის სისტემის მონიტორინგს და უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის კანონმდებლობასა და რეგულაციებთან შესაბამისობას. აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირება სამეთვალყურეო საბჭოს საშუალებას აძლევს მიიღოს სანდო ინფორმაცია, რაც საფუძვლად უდევს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას.

15. კორპორაციული პარტა

რისკების კომიტეტი: 2025 წელს შექმნილი რისკების კომიტეტის უმთავრესი მისია იქნება ორგანიზაციაში რისკზე დაფუძნებული მართვის კულტურის დამკვიდრება და რისკების მართვის ინტეგრირებული, მდგრადი და ეფექტიანი სისტემების უზრუნველყოფა. სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერის მიზნით, კომიტეტი ზედამხედველობას გაუწევს და შეაფასებს შემდეგ საკვანძო ასპექტებს: ორგანიზაციის რისკ-აპეტიტის განსაზღვრა; რისკის მართვის მარეგულირებელი პოლიტიკების, სტანდარტებისა და პროცედურების სტრუქტურული გამართულობა და ადეკვატურობა; კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების ეფექტიანობა; საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, რეპუტაციული, ESG და სხვა სახის რისკების ეფექტიანი მართვის პროცესები; რისკებთან დაკავშირებული ანგარიშგების სისტემის გამართულობა, მათ შორის პილარ 3-ის ანგარიშგების პროცესი და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) საკითხების ანგარიშგების მონიტორინგი.

დირექტორატი

ემბისის ყოველდღიურ ოპერაციულ მართვას ხელმძღვანელობს დირექტორატი, რომელიც პასუხისმგებელია კომპანიის სტრატეგიული მიზნების წარმატებით განხორციელებაზე. დირექტორატის თითოეული წევრი კოლექტიურად აგებს პასუხს მიკრობანკის საქმიანობაზე სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს დირექტორატის შემადგენლობას.

სხვა საკვანძო ფუნქციებთან ერთად, დირექტორატი უზრუნველყოფს ორგანიზაციის ბიზნეს სტრატეგიების აღსრულებას, ქმნის და ამკვიდრებს ფინანსური და არაფინანსური რისკების მართვის ეფექტიან სისტემებსა და რისკის კულტურას, ზედამხედველობს ბიზნეს პროცესებსა და შიდა კონტროლს, ასევე რეგულარულად აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

გარდა ამისა, დირექტორატი პასუხისმგებელია მიკრობანკის თანამშრომელთა ფუნქციური მოვალეობების განაწილებაზე და ეფექტიანი მმართველობის სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე, რაც უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს კომპანიის შიგნით.

მიკრობანკის დირექტორატი შედგება 4 წევრისგან - გენერალური დირექტორი, გაყიდვების დირექტორი, საოპერაციო დირექტორი და რისკების დირექტორი. დირექტორატის წევრების დანიშვნის წესს, ვადებსა და საქმიანობის რეგლამენტს საქართველოს კანონმდებლობა, მიკრობანკის წესდება და დირექტორატის დებულება ადგენს.

ემბისი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და პატივს სცემს გუნდის წევრების მრავალფეროვნებას. გვჯერა, რომ ჩვენი გუნდის ყველა წევრი თანასწორია, განურჩევლად ასაკისა, მეზღუდული შესაძლებლობებისა, სქესისა, ოჯახური მდგომარეობისა, გენდერული ნიშნისა, ეროვნული კუთვნილებისა, რელიგიისა, ან სხვა მსგავსი მახასიათებლებისა.

კომპანია თანამშრომლებისა და ხელმძღვანელი პოზიციების დაკომპლექტებას ახორციელებს სამუშაო გამოცდილების, განათლების, პროფესიული ცოდნისა და საჭირო უნარების გათვალისწინებით. დირექტორატის შემადგენლობაში გენდერული თანასწორობა დაცულია, რაც გამოიხატება ოთხ წევრს შორის ორი ქალის (50%) წარმომადგენლობით.

მდგრადი განვითარების მენეჯმენტი

ემბისიში კორპორაციული მდგრადობისა და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) საკითხების ეფექტური იმპლემენტაციის, ასევე მიკრობანკის გრძელვადიან ბიზნეს სტრატეგიასთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სამეთვალყურეო საბჭოს.

კორპორაციული მდგრადობის სტრატეგიის, შესაბამისი მიდგომებისა და პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და მართვა, ისევე როგორც დაფინანსების პროცესში სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების ეფექტური მართვა, მიკრობანკის დირექტორატის კომპეტენციაში შედის.

ამასთან, კორპორაციულ მდგრადობასთან და ESG ფაქტორებთან დაკავშირებული საკითხების ყოველდღიურ მართვას უზრუნველყოფს საოპერაციო დეპარტამენტი, კერძოდ - ადამიანური კაპიტალის მართვისა და კორპორაციული მდგრადობის განყოფილება, რომელიც ანგარიშვალდებულია საოპერაციო დირექტორის წინაშე.

მდგრად განვითარებასა და ESG საკითხებთან დაკავშირებული მართვის პრინციპები და სტრუქტურა ასახულია ბანკის შიდა დოკუმენტებსა და მართვის პროცედურაში. აღნიშნული დოკუმენტების ჩამონათვალი მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით: ეთიკის კოდექსი, პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა, ფინანსური დანაშაულის და ფულის გათვრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა, რისკების მართვის პოლიტიკა და სხვა.

15. კორპორატიული ბაიოთვა

მიმდინარე წელს ემბისი აგრძელებს აქტიურ მუშაობას მდგრადი მენეჯმენტის მიმართულებით და მიზნად ისახავს საქმიანობის შემდგომ დახვეწასა და გაუმჯობესებას. ამ კონტექსტში, კომპანია გეგმავს ESG რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავებას, ESG რისკების მართვის ჩარჩოს დანერგვას და მის ინტეგრირებას არსებულ რისკების მართვის სისტემაში.

ბიზნეს ეთიკა

კომპანიის დაფუძნების დღიდან ემბისიში მოქმედებს ეთიკის კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს იმ ძირითად ფასეულობებსა და ქცევის ნორმებს, რომელზედაც დაფუძნებულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობა. აღნიშნული კოდექსის მიზანია კორპორაციული ქცევისა და საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რაც გულისხმობს საყოველთაოდ აღიარებული მორალური წესებისა და ზნეობრივი ნორმების პრიორიტეტულ გათვალისწინებას ბიზნეს საქმიანობის განხორციელებისას.


კოდექსში განსაზღვრული პრინციპების ზედმიწევნით გათვალისწინება და დაცვა სავალდებულოა კომპანიის ყველა თანამშრომლისთვის, ხოლო მისი აღსრულების მონიტორინგი ხორციელდება სისტემატურად. ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია თითოეული თანამშრომლისთვის როგორც პირველადი ადაპტაციის ("ონბორდინგის") პროცესში, ისე სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ყველა ეტაპზე.

ფინანსური დანაშაულისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა


ემბისი, თავისი ეთიკური პრინციპებიდან და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი მოთხოვნებიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიიჩნევს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთას ყოველდღიურ საქმიანობაში.

აღნიშნული მიზნის ეფექტური განხორციელებისთვის ორგანიზაციაში დანერგილია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შემუშავებას, რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, მართვასა და მინიმიზაციას.

ემბისის ყველა თანამშრომელი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში, ვალდებულია გაიაროს ტრენინგი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ამასთან, კომპანიაში, წელიწადში მინიმუმ ერთხელ, ტარდება ტრენინგები იმ თანამშრომლებისთვის, რომელთა ფუნქციონალური მოვალეობები მოიცავს ბიზნეს ურთიერთობების დამყარებას, საგადახდო ოპერაციების განხორციელებას, საკრედიტო რისკების შეფასებას ან შესაბამისობის კონტროლის უზრუნველყოფას.



საგაერთაშორისო საბჭო წევრი



16. საათვალყურო საბჭოს წევრები



ტარას ნიჟარაძე

სამეთვალყურო საბჭოს
თავმჯდომარე

ტარას ნიჟარაძე 2012 წლიდან გახლავთ სს მიკრობანკი ემბისის პარტნიორი და სამეთვალყურო საბჭოს თავმჯდომარე.

1990 წლიდან იგი აქტიურად მოღვაწეობს ბიზნესის სფეროში - არის საბანკო, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სფეროებში მოღვაწე კერძო კომპანიების დამფუძნებელი და მენეჯერი.

1998-2012 წლებში ტარას ნიჟარაძე იყო სს "ბაზისბანკის" ერთ-ერთი აქციონერი, ამავე ბანკის სამეთვალყურო საბჭოს წევრი და შემდგომ თავმჯდომარე.

2006 წლიდან იგი არის შ.პ.ს. "ენერგო-არაგვის" თანადამფუძნებელი და დირექტორი, სათავეში უდგას ჰიდროენერგეტიკის სფეროში განხორციელებულ ერთ-ერთ წარმატებულ პროექტს საქართველოში.

1986 წელს ტარას ნიჟარაძემ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და მიიღო ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხი ნახევარგამტარების ფიზიკის სპეციალობით. მან სამეცნიერო კარიერა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბაზაზე არსებულ სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკურ ცენტრში-მეცნიერ-მკვლევარის თანამდებობაზე დაიწყო.



მურმან ამბროლაძე

სამეთვალყურო საბჭოს წევრი

მურმან ამბროლაძე 2014 წლიდან გახლავთ ემბისის პარტნიორი და სამეთვალყურო საბჭოს წევრი. 2025 წლიდან კი იკავებს სამეთვალყურო საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას.

1993 წელს, გია პეტრიაშვილთან ერთად, დააფუძნა კომერციული ბანკი - სს "ბაზისბანკი" და წლების მანძილზე იყო მისი დირექტორი, ხოლო 2008-2012 წლებში გახლდათ სს "ბაზისბანკის" სამეთვალყურო საბჭოს წევრი.

2012 წლიდან დღემდე ამბროლაძე მპს "ამბრო-სოფთის" დამფუძნებელი და დირექტორია.

მურმან ამბროლაძეს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის და დოქტორის ხარისხი მათემატიკის განხრით და არის რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი. მან სამეცნიერო და პედაგოგიური კარიერა თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრაზე დაიწყო.

16. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



ვალერი ჩეჩელაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს
დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის
კომიტეტის თავმჯდომარე

ვალერი ჩეჩელაშვილს დამთავრებული აქვს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით და აქვს საერთაშორისო ეკონომიკის დოქტორის ხარისხი.

1989 წლიდან იგი დიპლომატიური ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობდა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ეკავა სხვადასხვა თანამდებობები - მეორე მდივნიდან მინისტრის მოადგილის პოზიციამდე. 2005 წელს ვალერი ჩეჩელაშვილი იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრი, ხოლო 2005-2007 წლებში მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობა ეკავა.

1994-1998 წლებში იგი იყო საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში, ხოლო 2004-2005 წლებში რუსეთის ფედერაციაში. 2000-2004 წლებში ჩეჩელაშვილს ეკავა გენერალური მდივნის პოზიცია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციაში, ხოლო 2007-2016 წლებში - გენერალური მდივნის პოზიცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში.

2000-2004 წლებში, როგორც შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის გენერალური მდივანი, იგი მონაწილეობდა შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წესდების შესაბამისად მისი აფილირებული ორგანო) მმართველთა საბჭოს მუშაობაში.

2002-2012 წლებში იყო სს "ბაზისბანკის" აქციონერი.

2016 წლიდან ვალერი ჩეჩელაშვილი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

იგი დაჯილდოებულია სხვადასხვა მედლითა და ორდენით და ასევე, გახლავთ რამდენიმე ათეული პუბლიკაციის ავტორი რეგიონული ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

სოფიო ცხვიტავა 2025 წლიდან იქნება მიკრობანკი ემბისის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ამავდროულად, რისკების კომიტეტის თავმჯდომარე.

მას 2005 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიენიჭა ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის მიმართულებით, ხოლო 2007 წელს მიიღო ამავე უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.

პროფესიული კარიერის ადრეულ ეტაპზე სოფიო ცხვიტავა საქმიანობდა კომპანია „მედინსერვში“, სადაც აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო ბაზარზე ბიზნეს პარტნიორობთან ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებაში.

2006 წლიდან მუშაობდა „პროგრედიტ ბანკში“ სხვადასხვა პოზიციებზე, 2007 წლიდან იკავებდა AML ოფიცრის პოზიციას, ხოლო 2010 წლიდან უფროსი AML ოფიცრის პოზიციას, 2013-2018 წლებში კი იყო ამავე ბანკის გამოცდილი აუდიტორი.

2018 წელს სოფიო ცხვიტავა შეუერთდა ემბისის გუნდს და 2019 წლის მარტამდე ეკავა საოპერაციო რისკების მენეჯერის თანამდებობა.

2019-2024 წლებში ცხვიტავა იკავებდა FINCA Network Support B.V-ის ფინკა ჯგუფის შესაბამისობის ოფიცრის თანამდებობას, ხოლო 2024 წლიდან დღემდე არის ფინკა ჯგუფის შესაბამისობის უფროსი მენეჯერი.


სოფიო ცხვიტავას აქვს მრავალწლიანი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება საბანკო და მიკროსაფინანსო სფეროს მიმართულებით. 2023 წლიდან დღემდე იგი აქტიურად უწევს საკონსულტაციო მომსახურებას სხვადასხვა ორგანიზაციებს.



სოფიო ცხვიტავა

სამეთვალყურეო საბჭოს
დამოუკიდებელი წევრი, რისკების
კომიტეტის თავმჯდომარე

ლიწაქაშაობა საბჭო წევრები



17. ღირსშესანიშნო საბჭოს წევრები



გია პეტრიაშვილი
გენერალური დირექტორი

გია პეტრიაშვილმა, საბანკო სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების შემდეგ, 2012 წელს დააფუძნა კომპანია ემბისი და დაარსების დღიდან იკავებს გენერალური დირექტორის პოზიციას.

1993 წლიდან გია პეტრიაშვილი გახლდათ სს "ბაზისბანკის" დამფუძნებელი და სამეთვალყურეო საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ხოლო 1998-2012 წლებში იყო ამავე ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

1999 წლიდან იგი საქმიანობდა OPIC-ის მიერ დაფინანსებულ საინვესტიციო ფონდში - "კავკასიის ფონდი", 1999-2002 წლებში კი, გახლდათ LLC Caucasus Advisors-ის თბილისის ოფისის დირექტორი.

2002-2005 წლებში გია პეტრიაშვილი იყო შპს "გასართობი ცენტრი მეიდანის" დამფუძნებელი და მმართველი დირექტორი. 2006-2009 წლებში კი დააფუძნა და ხელმძღვანელობდა უძრავი ქონების საინვესტიციო კომპანიას - შპს "სოლო-ლაკი ინვესტორს".

გია პეტრიაშვილს აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრისა და დოქტორის აკადემიურ ხარისხი თეორიული და მათემატიკური ფიზიკის განხრით. სამეცნიერო კარიერა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ-მკვლევრის პოზიციაზე დაიწყო. ასევე იყო მოსკოვის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული მეცნიერ-თანამშრომელი.



გიორგი ღვალაძე
გაყიდვების დირექტორი

გიორგი ღვალაძე ემბისის გაყიდვების დეპარტამენტს 2013 წლიდან ხელმძღვანელობს. მას საბანკო-საფინანსო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. 2005 წელს კარიერა დაიწყო "ბანკ კონსტანტაში" - დაკრედიტების ექსპერტის პოზიციაზე, მოგვიანებით კი ფილიალის მმართველის, მინი და მინი-აგრო მიმართულებების ხელმძღვანელის პოზიციები ეკავა.

გიორგი ღვალაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და აქვს ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკის განხრით. 2006 წელს მას კავკასიის აკადემიურ ცენტრში (CAC) ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი (MBA) მიენიჭა, 2014 წლიდან კი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

17. ღირსშესანიშნო საბჭოს წევრები



ეთერ ჩაჩიბაია
საოპერაციო დირექტორი

2013 წლიდან **ეთერ ჩაჩიბაია** ემბისის გუნდის წევრია. მისი, როგორც საოპერაციო დირექტორის საკუთრებო სფეროში შედის შემდეგი მიმართულებები: ცენტრალიზებული ბექ-ოფისი, სატელეფონო და დისტანციური მომსახურება, მარკეტინგი, ადამიანური რესურსების მართვა, პიარი და კორპორაციული მდგრადობა, ლოჯისტიკა და შესყიდვები, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მომხმარებელთა გამოცდილების მართვის მიმართულებები.

მრავალი წლის განმავლობაში ეთერ ჩაჩიბაია დასაქმებული იყო სს "ბაზისბანკსა" და "HSBC-ბანკ საქართველოში" - საოპერაციო, საცალო და კორპორაციული მომსახურებების მიმართულებით.

გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იგი საქმიანობდა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და არასამთავრობო სექტორში.

ეთერ ჩაჩიბაიას აქვს საერთაშორისო ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.




ნინო დედარიანი
რისკების დირექტორი

ნინო დედარიანი ემბისიში რისკების დირექტორის პოზიციას 2016 წლიდან იკავებს და ხელმძღვანელობს როგორც საკრედიტო და საოპერაციო რისკების, ასევე AML (ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა) და იურიდიულ განყოფილებებს, ფინანსური ანგარიშგების, ინვესტირებთან ურთიერთობის, პრობლემური აქტივების მართვისა და უძრავი ქონების შეფასების მიმართულებებს.

2008-2013 წლებში იგი საქართველოს ეროვნულ ბანკში მუშაობდა საერთაშორისო რეზერვების რისკების მართვისა და კონტროლის განხრით, 2014-2016 წლებში კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საქმიანობდა სახელმწიფო ვალის რისკების მართვის მიმართულებით.

ნინო დედარიანს აქვს Williams College-ის (აშშ) მაგისტრის ხარისხი (2014) და არის მსოფლიო ბანკის სტიპენდიატი.

**საქართველოს
საბჭოთა და
ნაციონალისტური
კლასის საპროტესტო**



18. საპატივცემურო საბჭოსა და აქციონერთა ქრახის საკითხები



აქციონერთა კრება

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს უმაღლეს მმართველობით ორგანოს, რომელიც იღებს ისეთ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ კომპანიის საქმიანობაზე. კრების ფუნქციონირება ხორციელდება ორი ფორმატით: აქციონერთა წლიური (მორიგი) საერთო კრება და აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

2024 წლის განმავლობაში ჩატარდა ერთი მორიგი და სამი რიგგარეშე სხდომა. ტრადიციულ საკითხებთან ერთად, როგორიცაა აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება და ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდის განაწილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, აქციონერთა კრებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომპანიის მიერ მიკრობანკის ლიცენზიის მოპოვების პროცესს, რაც სტრატეგიული განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. ასევე, აქციონერთა კრებამ მნიშვნელოვანი შრომა გასწია სამეთვალყურეო საბჭოს წევრების კანდიდატურების განსაზღვრის მიმართულებით, რაც კორპორაციული მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად უმნიშვნელოვანესი საკითხია.

სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფუძნება ადეკვატური ზედამხედველობის, მკაფიო ანგარიშვალდებულებისა და ფუნქციონალური პასუხისმგებლობების ოპტიმალურ განაწილებას. ემბისიში რისკების მართვის უმაღლესი რგოლია სამეთვალყურეო საბჭო, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება ორგანიზაციის სტრატეგიული კურსის განსაზღვრა და სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესზე ზედამხედველობა.

სამეთვალყურეო საბჭო დაკომპლექტებულია მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მქონე წევრებით. საბჭოს თითოეული წევრი გამოირჩევა სიდრმისეული ცოდნითა და წარმატებული პრაქტიკული გამოცდილებით ისეთ საკვანძო სფეროებში, როგორიცაა ფინანსები, შიდა კონტროლი და აუდიტი, საბანკო და მიკროსაფინანსო რეგულირება, სტრატეგიული მართვა, კორპორაციული მმართველობის სტრუქტურები, კრიზისების მართვა თუ რეპუტაციული რისკების შეფასება. სამეთვალყურეო საბჭოს ერთობლივი გამოცდილება უზრუნველყოფს სტრატეგიული ზედამხედველობის მაღალ სტანდარტებს, რისკების მართვისა და მენეჯმენტის მხარდაჭერის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის გრძელვადიან და მდგრად განვითარებას.

კომპანიის შიდა მარეგულირებელი პოლიტიკა-პროცედურებით მკაფიოდ არის განსაზღვრული სამეთვალყურეო საბჭოს ვალდებულებები, ფუნქციები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული დოკუმენტები ასევე არეგულირებს საბჭოს საქმიანობის წესს, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტის მართვის მექანიზმებს, საბჭოს წევრების დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურებსა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს.

18. საერთაშორისო საბჭოსა და აქტიონართა კრების საკითხები

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

ტარას ნიჟარაძე (საქართველო) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

მურმან ამბროლაძე (საქართველო) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

ვალერი ჩეჩელაშვილი (საქართველო) - დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის ხელმძღვანელი.

2025 წლიდან, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების პარალელურად, დაგეგმილია სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შემდეგი ცვლილებები:

მურმან ამბროლაძე (საქართველო) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

ვალერი ჩეჩელაშვილი (საქართველო) - უფროსი დამოუკიდებელი წევრი, აუდიტის კომიტეტის ხელმძღვანელი;


სოფიო ცხვიტავა (საქართველო) - დამოუკიდებელი წევრი, რისკების კომიტეტის ხელმძღვანელი.

2024 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 12 სხდომა, რომელთა ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა: კომპანიის წლიური ბიზნეს გეგმა და მისი შესრულების მონიტორინგი; კვარტალური ანგარიშების, ძირითადი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლების, ასევე, შიდა აუდიტის საქმიანობის მიმოხილვა და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ორგანიზაციაში ძლიერი და ეფექტიანი რისკების მართვის სისტემის ჩამოყალიბება და ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც სრულ თანხვედრაშია კომპანიის მასშტაბთან, ორგანიზაციულ სტრუქტურასა და რისკის პროფილთან. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები შემდეგ სტრატეგიულ საკითხებზე:

- კომპანიის საერთო სტრუქტურის განსაზღვრა;
- მასშტაბური პროექტების განხილვა და შეფასება;
- მაღალი რგოლის მენეჯმენტის საქმიანობის შეფასება და მოტივაციის მექანიზმების შექმნა;
- აქციონერთათვის რეკომენდაციების წარდგენა დივიდენდების განაწილების პოლიტიკასთან, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებებთან და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

סחטחפכ חטחטחמז



19. აუდიტის კომიტეტი



კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

აუდიტის კომიტეტი, რომელიც ფუნქციონირებს კომპანიის მენეჯმენტისგან სრულიად დამოუკიდებლად, უპირველეს მიზნად ისახავს დაინტერესებული მხარეების ინტერესების დაცვას, რაც მიიღწევა შიდა კონტროლის სისტემის გამართულობის, ფინანსური ანგარიშგების სიზუსტისა და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის, აგრეთვე გარე აუდიტორებთან პროფესიული და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით.

აუდიტის კომიტეტი, მჭიდრო კოორდინაციით შიდა აუდიტის სამსახურთან, სისტემატურად განიხილავს აუდიტთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს, აუდიტის სტრატეგიულ მიზნებს, აუდიტორული შემოწმებების შედეგებს და გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, მენეჯმენტის მიერ გატარებულ მაკორექტირებელ ღონისძიებებს.

2024 წელს, ქვეყანაში არსებული გამოწვევების ფონზე, აუდიტის კომიტეტი რეგულარულად მუშაობდა შიდა კონტროლის ფუნქციის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით. ამასთან, კომიტეტი უშუალოდ იყო ჩართული მიკრობანკის ლიცენზირების პროცესში, მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

2025 წლიდან, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების კვალდაკვალ, დაგეგმილია აუდიტისა და რისკების კომიტეტებს შორის აქტიური თანამშრომლობა, რაც მიზნად ისახავს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე პოტენციური ნეგატიური გავლენის მქონე რისკების დროულ იდენტიფიცირებასა და მათი მინიმიზაციის უზრუნველყოფას.

პატივისცემით,

ვალერი ჩეჩელაშვილი

აუდიტის კომიტეტის მთავარი მიზანია ორგანიზაციის გამართული, გამჭვირვალე და ეფექტიანი შიდა კონტროლის, რისკების მართვისა და ანგარიშგების სისტემების უზრუნველყოფა, რაც ემსახურება დაინტერესებული მხარეების ნდობის გაძლიერებას და ზედამხედველობით ფუნქციებში სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტიან მხარდაჭერას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატს აძლევს რეკომენდაციებსა და რჩევებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- მმართველობითი სტრუქტურა და კორპორაციული ეთიკა;
- შიდა კონტროლის სისტემების სტრუქტურა და მისი ფუნქციური ადეკვატურობა;
- შიდა და გარე აუდიტორების საქმიანობა, დამოუკიდებლობა და მათი ეფექტიანობა;
- მარეგულირებელი, ფინანსური და საჯარო ანგარიშგება.

აუდიტის კომიტეტი, წლის განმავლობაში ჩატარებულ სხდომებზე, გარდა ზემოთ აღნიშნული პუნქტებისა, განიხილავს შიდა და გარე აუდიტთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- გარე აუდიტორული კომპანიის შერჩევის პროცესი;
- შიდა და გარე აუდიტის შემაჯამებელი შედეგები;
- შიდა აუდიტის მიერ მომზადებული ანგარიშები;


19. აუდიტის კომიტეტი

- გარე აუდიტორის მიერ წარმოდგენილი სარეკომენდაციო წერილი;
- შიდა და გარე აუდიტის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები და მათი აღმოფხვრის მიზნით განხორციელებული მაკორექტირებელი ზომების ეფექტიანობის შეფასება;
- შიდა აუდიტის სტრატეგიული და წლიური გეგმები;
- შიდა აუდიტის მარეგულირებელი შიდა დოკუმენტები (რეგლამენტები).

2024 წელს აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარემ, ვალერი ჩეჩელაშვილმა, სამეთვალყურეო საბჭოს კრების ფარგლებში, უზრუნველყო შემდეგი საკითხების განხილვა და დამტკიცება:

- შიდა და გარე აუდიტის შედეგები;
- გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი;
- შიდა აუდიტის წლიური გეგმა;
- შიდა და გარე აუდიტის პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებები და მათი გამოსწორების მიზნით გატარებული ზომების ეფექტურობის შეფასება;
- შიდა აუდიტის მიერ მომზადებული ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.

2025 წლიდან, მიკრობანკის ლიცენზიის მიღების პარალელურად, იგეგმება აუდიტის კომიტეტის შეხვედრების აქტიური ორგანიზება, მინიმუმ კვარტალში ერთხელ.



ჩიკაბოს კომუნიტატი



20. რისკების კომიტეტი



კომიტეტის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო აქციონერებო და პარტნიორებო,

რისკების მართვის ეფექტიანობისა და სტრატეგიულ მიზნებთან სრული თანხვედრის უზრუნველსაყოფად, ორგანიზაციაში 2025 წლიდან ფუნქციონირებას დაიწყებს რისკების კომიტეტი. კომიტეტის უმთავრესი ამოცანა იქნება რისკების მართვის ინტეგრირებული სისტემის ადეკვატური და შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობა.

2025 წლის განმავლობაში რისკების კომიტეტი, რისკების დირექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით, გეგმავს აქტიურ მუშაობას როგორც საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, ისე რეპუტაციული რისკების ცენტრალიზებული მართვის მოდელების გაძლიერების მიმართულებით.

ასევე, კომიტეტის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შესაბამისობის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML) და ინფორმაციული უსაფრთხოების მიმართულებებს, რათა ორგანიზაციამ შეძლოს, თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით წარმატებით გაუმკლავდეს მზარდ მასშტაბებს.

რისკების კომიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს აუდიტის კომიტეტთან, ორგანიზაციის რისკების მართვის სისტემის ყოვლისმომცველი და ადეკვატური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

პატივისცემით,

სოფიო ცხვიტავა

რისკების კომიტეტის უმთავრესი მიზანია ორგანიზაციაში რისკზე დაფუძნებული მართვის კულტურის დანერგვა და მდგრადი, ეფექტიანი რისკების მართვის ინტეგრირებული სისტემების უზრუნველყოფა. ეს ხელს შეუწყობს კომპანიის სტრატეგიული მიზნების წარმატებით მიღწევასა და დაინტერესებული მხარეების ნდობის განმტკიცებას. კომიტეტი ასევე უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას შემდეგი საკვანძო საკითხების შეფასებასა და ზედამხედველობაში:


- ორგანიზაციის რისკის მართვის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის განსაზღვრა;
- რისკის მართვის მარეგულირებელი პოლიტიკების, სტანდარტებისა და პროცედურების სტრუქტურული გამართულობა და ადეკვატურობა;
- კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიების ეფექტიანობა;
- სხვადასხვა ტიპის რისკების (საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო, რეპუტაციული, ESG და სხვა) ეფექტიანი მართვის პროცესების ზედამხედველობა;
- რისკებთან დაკავშირებული ანგარიშგების სისტემის გამართულობა, მათ შორის ჰილარ 3-ის ანგარიშგების პროცესისა და ESG (გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი) საკითხების ანგარიშგების მონიტორინგი.



მედიკრობანკი
ეზბისი

ფინანსური ენბარიშბაბა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2024 წლის 31 დეკემბერს



2024

სარჩევი

01. ფინანსური ანგარიშგება

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	84
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	86
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება	87
4. ანგარიშგება კაპიტალში	
ცვლილებების შესახებ	88
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება	89

02. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი განიხილვა

1. ზოგადი ინფორმაცია	91
2. მომზადების საფუძვლები	92
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	95
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	109
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკის მართვა	110
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	115
7. კლიენტებზე გაცემული სესხები	115
8. სხვა აქტივები	121
9. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება	122
10. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	123
11. ძირითადი საშუალებები	124
12. სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	124
13. სხვა ვალდებულებები	126
14. საწესდებო კაპიტალი და რეზერვები	127
15. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	128
16. სხვა საოპერაციო ხარჯები	129
17. პირობითი ვალდებულებები	129
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	131
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	132

სს მიკრობანკი „ემბისის“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს მიკრობანკი ემბისის (შემდგომში - მიკრობანკი) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მიკრობანკის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ მიკრობანკისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელზეც პასუხისმგებელია მიკრობანკის ხელმძღვანელობა და რომელიც შეიტანება მმართველობის ანგარიშგებაში, არ გვქონდა მიღებული აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას. სავარაუდოდ, მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვვალდება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დამხმარების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს მიკრობანკის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ მიკრობანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ მიკრობანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს მიკრობანკის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეკლარირებული, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს მიკრობანკი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

დავით დარსაველიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-735032)

შპს „ბილიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო


29 მაისი 2025

02. ფინანსური პოზიციის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	16,039	6,286
კლიენტებზე გაცემული სესხები	7	119,464	101,144
სხვა აქტივები	8	714	2,019
გადავადებული საგადასახადო აქტივი	9	74	-
არამატერიალური აქტივები		659	370
აქტივების გამოყენების უფლება	10	5,102	4,733
ძირითადი საშუალებები	11	2,951	2,532
სულ აქტივები		145,003	117,084
ვალდებულებები და კაპიტალი			
ვალდებულებები			
სუბორდინირებული სესხები და სხვა ნასესხები თანხები	12	113,705	90,046
საიჯარო ვალდებულებები	10	5,475	4,750
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	9	-	51
საგადასახადო ვალდებულება		423	505
სხვა ვალდებულებები	13	2,159	1,155
სულ ვალდებულებები		121,762	96,507
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	2,255	2,255
საემისიო კაპიტალი	14	1,136	1,136
პრივილეგირებული აქციები	14	6,989	6,989
გაუნაწილებელი მოგება		12,861	10,197
სულ საკუთარი კაპიტალი		23,241	20,577
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		145,003	117,084

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 29 მაისს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი  გია პეტრიაშვილი

03. სრული მათემატიკის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
საპროცენტო შემოსავალი	15	30,282	25,026
საპროცენტო ხარჯი	15	(11,286)	(10,015)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		18,996	15,011
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	7	(2,138)	(1,546)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		16,858	13,465
საკომისიო შემოსავალი		2,980	3,743
წმინდა (ზარალი)/მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		(2,050)	56
წმინდა მოგება/(ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან		1,112	(2,445)
პერსონალის ხარჯები		(9,383)	(7,201)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,047)	(1,957)
სხვა საოპერაციო ხარჯები	16	(2,998)	(2,814)
მოგება დაბეგვრამდე		4,472	2,847
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(942)	(814)
მთლიანი სრული შემოსავალი		3,530	2,033

04. ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის
(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	პრივილეგირებული აქციები	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	2,255	1,136	7,464	9,099	19,954
კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები დამფუძნებლებთან გამოსყიდული პრივილეგირებული აქციები	-	-	(475)	-	(475)
ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების კორექტირება (შენიშვნა 7)	-	-	-	(491)	(491)
	-	-	(475)	(491)	(966)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	2,033	2,033
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(444)	(444)
	-	-	-	1,589	1,589
2023 წლის 31 დეკემბერი	2,255	1,136	6,989	10,197	20,577
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში					
მოგება წლის განმავლობაში	-	-	-	3,530	3,530
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	-	(866)	(866)
	-	-	-	2,664	2,664
2024 წლის 31 დეკემბერი	2,255	1,136	6,989	12,861	23,241

05. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათას ლარში)


	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		4,472	2,847
კორექტირებები:			
გაუფასურების ხარჯი სასესხო ფინანსურ აქტივებზე	7	2,138	1,546
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება		636	(104)
სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიკაციის მოგება		(94)	(149)
ცვეთა და ამორტიზაცია		2,047	1,957
ბონუსის და სხვა ხარჯის ანარიცხები		1,117	468
დასაკუთრებული ქონების გაუფასურება		309	447
წმინდა მოგება უცხოური ვალუტის გადაფასებიდან		2,050	(56)
წმინდა (მოგება)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	3
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		12,675	6,959
ცვლილებები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
კლიენტებზე გაცემული სესხები		(20,284)	(12,268)
სხვა აქტივები		1,332	1,624
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება		(82)	772
სხვა ვალდებულებები		(468)	(38)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე		(6,827)	(2,951)
გადახდილი მოგების გადასახადი		(1,067)	(626)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა		(417)	(385)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		(8,311)	(3,962)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(747)	(336)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(423)	(90)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,170)	(426)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
შემოსულობა ნასესხები თანხებიდან	12	203,060	109,405
ნასესხები სახსრების დაფარვა	12	(181,804)	(103,579)
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა		-	(475)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(1,231)	(1,043)
გადახდილი დივიდენდები		(866)	(444)
ფულადი ნაკადების შემოდინება ფინანსური საქმიანობებიდან		19,159	3,864
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		9,678	(524)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	6,286	6,778
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა		75	32
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		16,039	6,286
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	16,039	6,286

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის თარიღით დასრულებული წლისთვის მიკრობანკის მიერ მიღებულმა პროცენტმა შეადგინა შესაბამისად 27,933 ათასი და 24,103 ათასი ლარი.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის თარიღით დასრულებული წლისთვის მიკრობანკის მიერ გადახდილმა პროცენტმა შეადგინა შესაბამისად 10,520 ათასი და 9,600 ათასი ლარი.

ფინანსური ანგარიშგების ბანკური სისტემით შანიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით



01. ზოგადი ინფორმაცია

მიკრობანკი

სს მიკრობანკი ემბისი, მანამდე ცნობილი როგორც სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მიკრო ბიზნეს კაპიტალი (შემდგომში „ემბისი“ ან „მიკრობანკი“) დაარსდა 2012 წელს. მიკრობანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“ ან „საქართველოს ცენტრალური ბანკი“). მიკრობანკი თავის საქმიანობას ახორციელებს სალიცენზიო ნომრით #472. მიკრობანკის საიდენტიფიკაციო ნომერია- 404967078.

2024 წლის 5 დეკემბერს ემბისისმ საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიკრობანკის ლიცენზია მიიღო, რაც ემბისისთვის განვითარების ახალ ეტაპის დასაწყისია. ლიცენზიის მიღების შემდეგ, ემბისის სესხის ლიმიტი 100,000 ლარიდან 1 მლნ ლარამდე იზრდება. ამას გარდა, მიკრობანკს ეძლევა უფლება მოიზიდოს დეპოზიტები, გახსნას მიმდინარე ანგარიშები და მომხმარებელს შესთავაზოს სხვა დაკავშირებული მომსახურებები.

მიკრობანკი მიზნად ისახავს კლიენტებზე მორგებული და ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების გაწევას მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებსა და ფერმერებზე, თანხებსა და სასესხო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, კლიენტებთან გრძელვადიანი და გამჭვირვალე ურთიერთობების შენარჩუნებას. მიკრობანკი, როგორც ფინანსური ინსტიტუტი სოციალური პასუხისმგებლობით, მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს საქართველოს მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

მიკრობანკის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება. მიკრობანკის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც შერჩეულია აქციონერთა საერთო კრების მიერ. მიკრობანკის ყოველდღიური საქმიანობა ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ, რომელსაც ირჩევს სამეთვალყურეო საბჭო.

მიკრობანკს სრულად ფლობენ „აქციონერთა ჯგუფის“ წევრები. არ არსებობს მიკრობანკის ერთპიროვნული მაკონტროლებელი მხარე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. დეტალურად განხილულია მე-14 პენიშვნაში.

მიკრობანკს აქვს 17 ფილიალი. მიკრობანკის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 265 ადამიანს საიდანაც: უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა - 7 თანამშრომელი, შუა რგოლის მენეჯმენტი - 36 თანამშრომელი და სხვა თანამშრომლები - 221 თანამშრომელი. ყველა თანამშრომელი გარდა 2-ისა დასაქმებულია სრული განაკვეთით. მიკრობანკის სათავო ოფისი არის ქეთევან დედოფლის 68 ნომერში, თბილისი, საქართველო. მიკრობანკის გენერალური დირექტორია გია პეტრიაშვილი.

02. მოზაიკის საფუძვლები

ანგარიშების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

მიკრობანკის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის.

მიკრობანკის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, მიკრობანკის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-4 შენიშვნაში. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, აღრიცხული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისა.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მიკრობანკის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ მიკრობანკი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ მიკრობანკი საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია მიკრობანკისთვის.

ახალი სტანდარტების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველ-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

02. მომზადების საფუძვლები

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

- ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

- ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;
- ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;
- ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;
- სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

- მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

02. მოზაიკის საფუძვლები

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება მიკრობანკის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებებით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

თუ გარიგების ფასი განსხვავდება რეალური ღირებულებისგან თავდაპირველი აღიარებისას, მიკრობანკი სხვაობას ანგარიშობს შემდეგნაირად:

- თუ რეალური ღირებულება განსაზღვრულია აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასით იდენტური აქტივისთვის ან ვალდებულებისთვის ან ეფუძნება შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ დაკვირვების ქვეშ მყოფი ბაზრებიდან მიღებულ მონაცემებს, ამ შემთხვევაში სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში თავდაპირველი აღიარებისას.
- სხვა ნებისმიერ შემთხვევაში რეალური ღირებულება დაკორექტირდება გარიგების ფასის მიხედვით, თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და ოპერაციის ფასს შორის სხვაობის გადავადებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მიკრობანკი ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც მოგებას ან ზარალს, როდესაც იგი იქნება გონივრულად გაზომვადი, ან როდესაც ინსტრუმენტის აღიარება არის შეწყვეტილი.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთად: შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები არის მიკრობანკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია. ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდეგი ორი გარემოება:

- მიკრობანკი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირი თანხის და პროცენტის გადახდას ძირი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო ორ პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- მიკრობანკი აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და

• ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ფასდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიკრობანკის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ მიკრობანკმა შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის- ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას მიკრობანკის მიერ გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკა და ამგვარი პოლიტიკის მოქმედებას პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადასთან თანხვედრაზე, რაც მოიცავს ამგვარი აქტივების დაფინანსებას ან ფულადი ნაკადების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია მიკრობანკის ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და რამდენად იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება- მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს;
- განვლილ პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება, ის წარმოადგენს მიკრობანკის შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით მიკრობანკის მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია რეალური ღირებულების მოგება ზარალში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო

ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი არის ფლობილი ისეთი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, მაშინ მიკრობანკმა უნდა განსაზღვროს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. SPPI-ის ტესტი ხორციელდება ერთეული ფინანსური ინსტრუმენტისთვის.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას, საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის დროითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგალითად, ლიკვიდობის რისკი) და დანახარჯების (მაგალითად, ადმინისტრაციულ დანახარჯებს) კომპენსაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან. ასევე საბაზისო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჯასაც.

იმის შეფასებისას, წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდას, მიკრობანკი აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს წარმოადგენს იმის შეფასებას, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომლებიც შესაძლოა ცვლიდეს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადებს ან თანხებს, რომელიც არ შეესაბამება SPPI-ის პირობებს.

SPPI-ის პირობები თუ დარღვეულია, ასეთი ფინანსური აქტივები ფასდება როგორც რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით, მიღებული პროცენტი კი აღიარდება სხვა საპროცენტო შემოსავლად.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- მიკრობანკი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ; ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივზე საკუთრების უფლებას, ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონტროლს აქტივზე.

რეკლასიფიკაცია

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ მიკრობანკი არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9 მოითხოვს ECL-ის დაანგარიშებას მიკრობანკის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით.

გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც დაანგარიშებულია ფინანსური აქტივის წარმოქმნიდან მომავალი 12 თვის მანძილზე დეფოლტის მოხდენის შემთხვევაში, მანამ სანამ არ მოხდება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა,

რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს შეძენილის ან აღიარებისთანავე გაუფასურებულის განმარტებას, გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ფასს 9-ის მიხედვით მიკრობანკი ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მხასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შეძენის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: მიკრობანკი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის აღბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: მიკრობანკი აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის აღბათობაზე.

ანარიცხი საკრედიტო ზარალებზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. მიკრობანკი აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

ვადგადაცილების დღეების გათვალისწინებით, სესხების 3 ეტაპზე გადანაწილება შემდეგნაირად შეიძლება იყოს წარმოდგენილი:

უზრუნველყოფის სახე	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3
უძრავი ქონება	0-30	31-90	>90
მოძრავი ქონება	0-30	31-90	>90
მესამე მხარის გარანტიები	0-30	31-90	>90
არაუზრუნველყოფილი	0-30	31-90	>90

მიკრობანკი ავტომატურად ანიჭებს სესხს 1 ეტაპს, სესხის გაცემის მომენტში. სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპზე, თუ ქვემოთ მოცემული რომელიმე მაპროვოცირებელ მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) სესხის 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ბ) სესხის რესტრუქტურირება;
- გ) მსესხებლის მიერ შემოსავლის დაკარგვა;
- დ) მსესხებლის შრომისუნარობა;
- ე) თაღლითობა მსესხებლის ბიზნესში (ბიზნეს მსესხებლებისთვის);
- ვ) ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილის/ქონების გაყიდვა რაც აუცილებელია მისი შემოსავლების გენერაციისთვის (ბიზნეს მსესხებლებისთვის);
- ზ) მაკროეკონომიკური ფაქტორების ან მათი საპროგნოზო მნიშვნელობების გაუარესება, რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე;
- თ) მარეგულირებელი, პოლიტიკური და ტექნოლოგიური მოლოდინების გაუარესება, რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე ან/და მსესხებელთა ჯგუფზე;
- ი) არასასურველი ცვლილებები სექტორში ან საწარმოო პირობებში, რომელშიც მსესხებელი ოპერირებს.

სესხი გადაინაცვლებს მე-2 ეტაპიდან 1-ელ ეტაპზე, თუ:

- ა) მე-2 სტადიის მაპროვოცირებელი ფაქტორის მოხდენიდან 6 თვის მანძილზე მსესხებელი გრაფიკის მიხედვით ემსახურება სესხს;
- ბ) იმ გარემოებების გამოსწორება, რომლის გამოც სესხმა გადაინაცვლა მე-2 ეტაპზე.

რესტრუქტურირებული სესხები 1-ლ სტადიაში არ ბრუნდება.

გადეფოლტებული სესხები დეფოლტის მომენტში გადაინაცვლებს მე-3 ეტაპზე, მე-3 სტადიაში მოხვედრილი სესხი სხვა სტადიაში აღარ ბრუნდება.

დეფოლტის განსაზღვრა

დეფოლტის სტატუსი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლისთვისაც ქვემოთ მოცემულ რომელიმე მოვლენას ექნება ადგილი:

- ა) სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით;
- ბ) მსესხებლის გარდაცვალება;
- გ) გაკოტრების პროცედურების წამოწყება (იურიდიული პირების შემთხვევაში); ან
- დ) თაღლითობა ან სხვა ფორსმაჟორული სიტუაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე.

დეფოლტის განმარტება თანხვედრაშია ფასს 9-ის მოთხოვნებთან, 90 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შესახებ.

მიკრობანკი დეფოლტს აღიარებს გაუფასურებული სესხებისთვის.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მიკრობანკი ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია მიკრობანკის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავალის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით:

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

მიკრობანკის აზრით, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუადრეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

მიკრობანკი რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს შეუძლიათ გამოააშკარაონ საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა მანამ სანამ ის დაექვემდებარება დეფოლტს;
- კრიტერიუმები არ შეესაბამება დროის იმ მომენტს როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილებული;
- საშუალო დრო აუცილებელი საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დადგენიდან დეფოლტამდე არის გონივრული;
- რისკზე დაქვემდებარება არ გადადის პირდაპირ 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან კრედიტით გაუფასურებულში; და
- არ არსებობს არანაირი უსაფუძვლო არასტაბილურობა ზარალის რეზერვში, 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალიდან (ეტაპი 1) არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში (ეტაპი 2) გადატანებიდან.

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

მიკრობანკი საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

მიკრობანკმა მოახდინა საკრედიტო რისკის და საკრედიტო ზარალის საკვანძო მამოძრავებლის იდენტიფიცირება და დოკუმენტირება თითოეული ფინანსური ინსტრუმენტის პორტფელისთვის და ისტორიული მონაცემების ანალიზის გამოყენებით, ივარაუდა დამოკიდებულებები მაკროეკონომიკურ ცვლადებსა და დეფოლტის ალბათობებს შორის. საკვანძო მამოძრავებელს მშპ-ს პროგნოზები წარმოადგენს. ნავარაუდები დამოკიდებულებები საკვანძო ინდიკატორებსა და დეფოლტსა და სესხის პორტფელის ზარალის განაკვეთებს შორის, ჩამოყალიბებულ იქნა ბოლო 5 წლის ისტორიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე.

მოდელიზირებული ფინანსური აქტივები

სესხის სახელშეკრულებო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორიცაა საბაზრო პირობების ცვლილება, კლიენტების შენარჩუნება და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის მიმდინარე ან პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით, მოყვანილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

მიკრობანკი ახდენს კლიენტებზე გაცემული სესხების პირობების ცვლილებას ფინანსური სირთულეების მქონე კლიენტებისთვის (ეგრეთ წოდებული “მოთმინების ქმედებები”), რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზება. მიკრობანკის მოთმინების პოლიტიკის მიხედვით, სესხის პირობების ცვლილება ხდება, თუ მსესხებელი დეფოლტშია, ან არსებობს დეფოლტის მაღალი რისკი, არსებობს მონაცემები, რომ

მსესხებელმა გააკეთა ყველა გონივრული ქმედება არსებული საკონტრაქტო ვალდებულების მიხედვით ვალის გასტუმრებისთვის და იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას. რესტრუქტურიზებული სესხები გადატანილია მეორე ეტაპზე და გამოიყენება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

შეცვლილი პირობები როგორც წესი გულისხმობს დაფარვის ვალის გაზანგრძლივებას, და საპროცენტო გადახდების განრიგის ცვლილებას.

რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება მოლაპარაკებების საფუძველზე ან მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო არსებული ფინანსური აქტივი ახლით იცვლება, მაშინ კეთდება შეფასება იმისა უნდა მოხდეს თუ არა ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ანგარიშდება შემდეგნაირად:

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია არ გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ შეცვლილი ფინანსური აქტივიდან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრები ჩათვლილია მიმდინარე აქტივისგან მიღებული ფულადი დანაკლისის გაანგარიშებაში.

- თუ მოსალოდნელი რესტრუქტურიზაცია გამოიწვევს არსებული აქტივის აღიარების შეწყვეტას, მაშინ ახალი აქტივის მოსალოდნელი სამართლიანი ღირებულება განიხილება როგორც საბოლოო ფულადი ნაკადი არსებული ფინანსური აქტივიდან მისი აღიარების შეწყვეტის მომენტში. ეს ოდენობა ჩათვლილია მიმდინარე ფინანსური აქტივისგან მიღებულ ფულად დანაკლისში, რომელიც დისკონტირებულია მოსალოდნელი აღიარების შეწყვეტის თარიღიდან ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე არსებული ფინანსური აქტივის საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ECL-ის გაზომვა

ECL-ის გასაზომად გამოსაყენებელი ძირითადი საშუალებები არის ქვემოთ მოყვანილი ცვლილებების სტრუქტურა:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვალის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის მიკრობანკი იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. ეს მაჩვენებელი დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის, სესხები სეგმენტებად დაჯგუფებულია სესხის უზრუნველყოფის ტიპების მიხედვით. PD გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისაღებებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობას გაუფასურების ეტაპებს შორის.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას

დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 3 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში გადფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოღინებები წლის ჭრილში.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD)

EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

ფინანსური ვალდებულებები

სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსურ ვალდებულებებად“. მიკრობანკმა ყველა ფინანსური ვალდებულება დააკლასიფიცირა, როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“.

მიკრობანკის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებსა და მიღებულ სესხებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამომწვევასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვა

მიკრობანკი ფინანსურ აქტივებისა და ვალდებულებების გადახურვას აკეთებს მაშინ, როდესაც ურთიერთობა იურიდიულად არ არის შეზღუდული და მიკრობანკი გეგმავს ანგარიშსწორებას გადახურული ნაშთის საფუძველზე, ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

რეკლასიფიკაცია

ფინანსური ვალდებულებები არ რეკლასიფიცირდება პირველადი აღიარების შემდგომ.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

მიკრობანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასება მიზნად ისახავს იმ ფასის მიახლოებას რომელიც მიღებულ იქნებოდა აქტივის გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციებში შეფასების დღისთვის. ამასთან, გაურკვევლობების და სუბიექტური მსჯელობების გამოყენების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვაში ან ვალდებულებების გადაცემაში.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი, რომელიც მოიცავს მსესხებლის საკრედიტო მდგომარეობის შეფასებას, უზრუნველყოფის საგნის შეფასებასთან.

სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, მიკრობანკი საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარეცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტი გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

წარდგენა

მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით დათვლილი საპროცენტო შემოსავალი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე პროცენტს. მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი საპროცენტო ხარჯი მოიცავს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე პროცენტს.

საკომისიოები

საკომისიო ხარჯი და შემოსავალი ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და შედის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც იწვევს მიკრობანკის ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური ინსტრუმენტის აღიარებას, შეიძლება ნაწილობრივ ესადაგებოდეს ფასს 9 და ნაწილობრივ ფასს 15-ი. ამ შემთხვევაში მიკრობანკი ჯერ იყენებს ფასს 9-ს, რომ დაეყოს და ადრიცხოს ხელშეკრულების ის ნაწილი რომელიც ფასს 9-ს მიეკუთვნება და შემდეგ დარჩენილ ნაწილზე იყენებს ფასს 15-ს. სხვა საკომისიო ხარჯები ძირითადად უკავშირდება გარიგებების და მომსახურების საკომისიოს, და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე.

პერსონალის ხარჯი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო მიკრობანკმა დასაქმებულისგან.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარა

მიკრობანკი როგორც მეიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მიკრობანკმა უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მიკრობანკი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა მიკრობანკის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მიკრობანკი საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მიკრობანკის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მიკრობანკი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 7 წლიან პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მიკრობანკი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა მიკრობანკი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.

- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ორგანიზაციამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

დაბეგვრა

გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე და გადავადებული გადასახადისგან. გადასახადი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. ამ შემთხვევაში გადასახადი ასევე აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში შესაბამისად.

მიკრობანკის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯები კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის. ასეთი კორექტირებები გამოიწვევს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ასახვას.

2022 წლის დეკემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომლებიც ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან შედის. საქართველოს ფინანსური სექტორის კომპანიებზე მოგების გადასახადი 20 პროცენტით განისაზღვრა და საფინანსო სექტორის დაბეგვრა ესტონურ საგადასახადო მოდელზე ადარ გადავა.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ვალდებულებების საბუღალტრო ბალანსის მიხედვით გაანგარიშების მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადის თანხა იანგარიშება გადასახადის მოსალოდნელი განაკვეთიდან, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული იმ წლებში, როდესაც დროებითი სხვაობის თანხა შეიძლება ანაზღაურებული ან რეალიზებული იყოს. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როცა არსებობს იმის ალბათობა, რომ დასაბეგრი მოგების მომავალი თანხები საკმარისი იქნება გადავადებული საგადასახადო აქტივების სარეალიზაციოდ. ბუღალტრული ბალანსის შედგენის თითოეული თარიღისათვის მიკრობანკი გადააფასებს აუდიარებელ გადავადებულ საგადასახადო აქტივებს.

გადავადებული მოგების გადასახადი აღიარდება იმიტომ, რომ ეს არის მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შეიძლება გამოყენებული იყოს დროებითი სხვაობა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არის გადახურული, როდესაც არის კანონიერი უფლება, რომ გადაიხუროს მიმდინარე საგადასახადო აქტივი საგადასახადო ვალდებულების მიმართ.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა (ამორტიზაციის) და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე (და არამატერიალურ აქტივებზე) ცვეთის (და ამორტიზაციის) დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა (და ამორტიზაცია) ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა-ნაგებობები	30 - 40
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	3 – 7

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს მიკრობანკი მიმოიხილავს აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შემოწმების მიზნებისთვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალი იდენტიფიცირებადი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების მიხედვით.

სააქციო კაპიტალი და დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი აქციებისა თუ ოფციონების გამოშვებასთან ნაჩვენებია კაპიტალში საგადასახადო გამოქვითვებით შემცირებული შემოსულობების სახით. სხვაობა ნომინალურ ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის აღიარდება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდები ჩაიწერება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც ის არის გამოცხადებული. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც გამოცხადდა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე გაიშიფრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, მათი გამოცხადების პერიოდში. პრივილეგირებულ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება გაუნაწილებელი მოგების განაწილების სახით, როდესაც მათი დამტკიცება ხდება წლიური საერთო კრების მიერ ყოველ მოცემულ წელიწადს.

პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი რომელიც არის არადაბრუნებადი, დისკრეციული დივიდენდებით, ბასს 32-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

მიკრობანკი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად მიკრობანკი იყენებს ქართულ ლარს.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. გადაფასება არ ეხება არამონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებს. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი/ლარი	ევრო/ლარი
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისათვის	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას მიკრობანკის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას მიკრობანკის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

04. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მაჩვენებლები და გადამწყვეტილებები

მიკრობანკი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული განსჯა და შეფასებები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა მნიშვნელოვანი შეფასებაა, რაც მოიცავს მეთოდოლოგიის განსაზღვრას, მოდელის შემუშავებას და ამოსავალი მონაცემების მომზადებას. ხელმძღვანელობის კომპეტენტური განსჯაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ხელმძღვანელობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას ხელმძღვანელობის შემდეგ განსჯას და შეფასებებს ითვალისწინებს:

დეფოლტის განმარტებაში გამოყენებული კრიტერიუმების განსაზღვრისას გამოყენებული განსჯა. მიკრო ბანკის დეფოლტის განმარტავს როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით. მსესხებელი კლასიფიცირდება დეფოლტის სიტუაციაში მყოფად, თუ:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველგვარი გადახდები 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული, ან
- ფაქტორები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ მსესხებლისგან გადახდების მიღება არ არის მოსალოდნელი.

ის, რომ დაფარვა არ არის მოსალოდნელი წარმოადგენს ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს, რომლებიც ეყრდნობა კლიენტის მონიტორინგს/ფინანსურ სტაბილურობას.

გარდა ამისა, დეფოლტიდან გასვლის კრიტერიუმები განისაზღვრება განსჯის საფუძველზე, ასევე იმის დასადგენად, დეფოლტი მსესხებელზე უნდა გამოიყენებოდეს, თუ რისკის (კრედიტის ოდენობის) დონეზე. დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების კრიტერიუმების დასადგენად გამოყენებული განსჯა, თუ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც განისაზღვრება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი კრიტერიუმების გამოყენებით.

ხარისხობრივი ფაქტორები, ჩვეულებრივ, მოიცავს განსჯას ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდების 30 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების პერიოდის თაობაზე; კრედიტის მოცულობა რესტრუქტურისებულია, მაგრამ არ არის დეფოლტის სიტუაციაში.

ბანკი ყოველი კონკრეტული დავალიანებისთვის აფასებს დეფოლტის პარამეტრის ალბათობის ცვლილებას რაოდენობრივ საფუძველზე და მას ადარებს დავალიანების საწყისი ადარებისას განსაზღვრულ ზღვრულ დონეს. როდესაც დეფოლტის ალბათობის აბსოლუტური ფარდობითი ცვლილება აღემატება კონკრეტულ ზღვრულ დონეს, მიიჩნევა, რომ მოხდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და დავალიანება გადაინაცვლებს მე-2 სტადიაზე.

საკრედიტო რისკის პარამეტრების გასაანგარიშებლად გამოყენებული განსჯა, კერძოდ, დეფოლტის ალბათობა და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში. განსჯაში, სხვებთან ერთად, შედის შემდეგი:

- სეგმენტაციის განმარტება რისკის პარამეტრების შეფასების მიზნებისთვის,
 - დრო დეფოლტის თარიღის შემდეგ, რომლის შემდეგაც არსებითი თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის,
- ცხრილში წარმოდგენილია მგრძნობელობა დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასებების 10%-იანი ზრდისადმი. მგრძნობელობის გამოთვლის მიზნებისთვის, სტადიები უცვლელი დარჩა:

ათას ლარში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დეფოლტის ალბათობის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 205 ათასი ლარით (205 ათასი ლარი).	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 165 ათასი ლარით (165 ათასი ლარი).
დეფოლტის შემთხვევაში ზარალის შეფასების 10%-იანი ზრდა (შემცირება)	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 464 ათასი ლარით (497 ათასი ლარი).	სესხებსა და ავანსებზე საკრედიტო ზარალის რეზერვის ზრდა (შემცირება) 446 ათასი ლარით (446 ათასი ლარი).

05. ფინანსური ინსტიტუტები- რისკის პართია

